№ 56
ხუთშაბათი, 21 აპრილი

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 56
ხუთშაბათი, 21 აპრილი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანეთი.
რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათ.მდე.
დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტ.-ადრესი: Тиф., Ред. „Иверіа".

ცალკე ნომერი 3 კაპ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.
განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედ. საზ.-ბის სახლში.

ტელეფონი № 922.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია".

1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა"**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 აპრილიდან წლის დამლევამდის 7 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედიტო საზოგადოების სახლში (მესამე სართულში).

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверіа".

ცირკი ძმ. ნიკიტინებისა მხოლოდ 24 აპრილამდის რჩება ტფილისში. ხუთშაბათს, 21 აპრილს, დიდი სავარჯიშო წარმოდგენა 3 განყოფილებად. მეორე განყოფილების ბოლოს იქმნება, სხვათა შორის, სამი ჭიდაობა. პირველი: ცნობილ მოჭიდავის ვანო თარხნიშვილის კავკასიური ჭიდაობა **ისააკ ახალაშვილთან.** პრემია ვერცხლის საათი. მეორე: კობიაშვილის კავკასიური ჭიდაობა **ლილოელთან.** პრემია ვერცხლის საათი. მესამე: მოჭიდავე ჯიბგირის კავკასიური ჭიდაობა ზარიძესთან. პრემია ვერცხლის საათი. ბოლოს წარმოდგენილი იქნება პანტომიმა. დაწვრილებით პროგრამებში. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე. 1—1

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჟუჟუნაძე. კბილის—8—9 საათ.

გ. გ. მაღალაშვილი. შინაგანი. ოთხშაბ. 9—10 საათამდე და კვირაობით 9—11 საათ.

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა $9^1/_2$—$10^1/_2$ ს.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგ. და ბავშვ. 12—1 ს.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი და ნერვებისა 12—1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

კ. ნ. დიასამიძე. — ვენერიული და კანისა $12^1/_2$ $1^1/_2$ საათ.

ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.—ხირურგია 1—2.

საღამოს:

ს. ი. ვაჩნაძე.—შინაგ. 6—7 საათამდე.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიანთ გარეშე ექიმ-ხირურგებსაც.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოთხი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით, კრავატები დღეში ღირს 2-დან სამ მანათამდე. საზოგადო ნომერი — 5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი), სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

ტელეფონი № 274.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. ყ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაგანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. ბძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

გ. ა. თარხანოვი—1—$1^1/_2$ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ექიმი ქალი **ა. ი. შჩერბინინა**—$1^1/_2$—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულ გამოკვლევას, 5—7 საათ.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს (მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშნვით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **კ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი № 13.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კოჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათისა.

ვაჩნაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 საათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლი № 157.

ბარაქალა!

ერთად-ერთი ეს სიტყვა უნდა ვუთხრათ დღეს იმ „კომპანიას", რომელმაც ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა საგანგებო კრებაზე, როგორც მკითხველს მოეხსენება, თავი ისახელა და საქართველოს ავტონომიურ თვით-მართველობის პრინციპს სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა. უნდა ვუთხრათ,—„ბარაქალაო", რადგან აქამდის ასე თუ ისე ცოტათი მორიდებულად იქცეოდნენ და, როცა ჰკითხავდით, ორჭოფულის პასუხით ზოგიერთებს თვალებს უხვევდნენ: ერთის მხრით, არ იყვნენ წინააღმდეგნი და ამ წაჯექ-უკუჯექობას მხოლოდ ის გაიგებდა ნამდვილად და დააფასებდა შესაფერად, ვინც მათს „რეჩებს" გულდასმით და მოთმინებით ისმენდა. გარეშე მკითხველი შეიძლებოდა შეცდომაში შესულიყო და „სამების" წევრები სულ მთლად ეშმაკის წილებულად არ წარმოედგინა.

დღეს კი ეს ორჭოფობა ყველასთვის ცხადად დასანახი გახდა, რადგან იმ „სამებამ" თავისი სახე და ზნეობრივი ელფერი დაუფარავად გამოამჟღავნა, თავის თავს ოქმი შეუდგინა და ზედ ხელიც მოაწერა. გაჰქრა ბუნდოვანობა და ახლა ყველას შეგვიძლიან შეუცდომელი აზრი და წარმოდგენა ვიქონიოთ, თუ ვინ ყოფილა მაშინდელი „ოპოზიცია" და რანაირი სარჩული ჰქონია ამ ოპოზიციის წინააღმდეგობას. ყველაფერი ეს დღეს დოკუმენტით მტკიცდება და ამიტომ ჩვენს ნაცნობ „კომპანიას" ყოველგვარი ნიადაგი თავის გასამართლებლად და ზნეობრივ საფლავის თავიდან ასაცილებლად სამუდამოდ ეკარგება. აი, ამაზე ითქმის „ბარაქალაო", როცა კაცი ხანგრძლივის რყევისა და გაუბედაობის შემდეგ, უცებ უკანასკნელ ძალას მოიკრებს და საზოგადოებას პირახდილად ეტყვის: აი, ესა ვარ ნამდვილად და მიცნობდეთო.

სწორედ ასეთი უტყუარი „ატესტატი" მისცეს თავის თავს ამ უკანასკნელ დღეებში ბ.ბ. მაჩაბელმა, გაბაევმა და ჯაბადარმა. ეს „ატესტატი", როგორც ყოველგვარი ოფიციალური მოწმობა აქამადე ჩვენში, რუსულად არის დაწერილი და რუსულადვე დაბეჭდილია გაზეთ „ახალ მიმოხილვა"-ში (№ 38) და დღეს ქართულად ნათარგმნსაც წაიკითხავს მკითხველი ჩვენს გაზეთში.

ეს სამი სახელოვანი პირი აღარ ჰფარავს, თუ რაოდენ სასაცილოდ მიაჩნიათ ავტონომიურ თვით-მართველობის მოთხოვნა საქართველოსათვის. ამ მოთხოვნას უწოდებენ „მისტიკურს", „ნიღაბ-აკრულს", „ბავშვურს" და სხვა და სხვა. თურმე „ბავშვური" მოთხოვნაა, ხალხმა რომ სთქვას ან რომელმამე ჯგუფმა ხალხისთვის სასარგებლოდ რომ აღიაროს: კარგი იქნება, ერს ჰქონდეს უფლება თავისი საქმეები თავის ნებისა და საჭიროების მიხედვით მოაწესრიგოსო; „ნიღაბ აკრულია" თურმე ასეთი უფლების მოთხოვნა, რომელმაც ყველას, განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა და ქონებისა, უნდა მისცეს თავის ქვეყნის მართვა-გამგეობის საკითხის გადაწყვეტაში თანასწორად მონაწილეობის შეძლება; თურმე „მისტიკური" და ბნელია ის აზრი, რომ თავისუფლება კარგია და სხვის ბრძანებლობის ქვეშ ყოფნა მავნებელია. თურმე ამიტომ ყოფილან ჩვენი ნაცნობები ავტონომიის წინააღმდეგნი და ამიტომ უშლიდნენ ხელს ნათელი აზრის გამარჯვებას. წინად, მართალია, ბ-ნნი გაბაევი და მაჩაბელი გვარწმუნებდნენ,—სიტყვით, რასაკვირველია,—რომ ჩვენც მაგ აზრისა ვართო, მაგრამ მკითხველი დღეს, იმედია, ხედავს, თუ რა ფასი უნდა დავდოთ მათს „პრინციპებსა" და აზროვნებას.

მაგრამ მათმა მეცადინეობამ ნაყოფი ვერ მოიტანა,—ბნელს სინათლემ აჯობა და დამოუკიდებელ თვით-მართველობის იდეამ კრებაზე გაიმარჯვა. „კომპანიამ" ფარხმალი მაინც არ დაჰყარა და ახლა მთავრობისა და რუსეთის საზოგადოების წინ წარსდგა და ერთსაც და მეორესაც არწმუნებს, რომ ქართველობისაგან ჩადენილი «თავქარიანობა» მხოლოდ პატარა ჯგუფის გზა-დაბნეულობის ნაყოფია და არა მთელის წოდების მოფიქრებულ მოქმედებისა. ბუკსა და ნაღარას ჰკრავენ და რუსეთის ბიუროკრატიას ერთგულად ატყობინებენ: კენჭის ყრაში მხოლოდ 48-მ მიიღო მონაწილეობა, უმრავლესობა ყუთთან არ მისულაო; «მისტიკური» ადრესი იმ პირთ შეიმუშავეს, რომელნიც არა თავად-აზნაურთაგან შემდგარმა კერძო კრებამ აირჩიაო; ადრესი იმიტომ იქმნა მიღებული კრების-მიერ, რომ მარშლის მოადგილემ მარტო ამ «მისტიკურ» ადრესს დაუდგა ყუთი და „კომპანიის" გონებრივს ნაწარმოებს ყურადღება არ მიაქციაო, და სხვ.

თავ. ალ. ორბელიანი თავის „პასუხში" თავიდან ბოლომდის არღვევს ამ ბრალდებას და ოფიციალურად ამტკიცებს, რომ არც ერთი „დონესენიე" „სამება—ტრიუმვირატისა" ფაქტიურს სიმართლეზე დამყარებული არაა.

მაგრამ განა ასეთი ხალხისთვის რაიმე მნიშვნელობა აქვს ასეთ დამარცხებას. მათი ენა უძვლოა და სურვილი ერთგულებისა—უსაზღვრო.

ამიტომ ჩვენ სამუდამოდ ვსპობთ მათის ახლანდელ „მოღვაწეობის" გამო კამათს და ეს სრულებით გამორკვეული საგანი ისტორიის არხივში გადაგვაქვს...

„სამების" წერილი და თ-დ ალ. ორბელიანის პასუხი

ამიერიდან სახელოვანმა „სამებამ"—ი. ს. ჯაბადარმა, მ. ვ. მაჩაბელმა და გ. დ. გაბაევმა—გაზეთ „ახალ მიმოხილვა"-ში (№83) დაბეჭდა თ-დ ალ. ჯაბა-კურ-ორბელიანისადმი მიმართული წერილი, რომლითაც ავტორნი თავის „მოღვაწეობას" ღირსეულად აგვირგვინებენ ისინი აქაც დორბლს ჰყრიან საქართველოს ავტონომიის წინააღმდეგ და თავიანთ „სასახელო" მიზნის მისაღწევად უმსგავსო საშუალებასაც კი აღარ ერიდებიან. რასაკვირველია, ყველას აქვს უფლება თვითმკვლელობა ჩაიდინოს და ჩვენ გვინდა ხსენებულ „სამების" ზნეობრივ გარდაცვალების დოკუმენტი ქართულ ისტორიას არ დავუკარგოთ და მათი რუსული წერილი ჩვენს გაზეთშიც გადმოვიღოთ.

წერილი რამდენისამე მუხლისაგან შესდგება, რომელსაც ჩვენ აქ მცირედის შემოკლებით ვბეჭდავთ.

I

1) ჩვენ ვამტკიცებთ იმ საბუთებით, რომელიც დღესაც ხელში გაქვთ,—სწერენ ისინი თ. ა. ორბელიანს,—რომ 1 აპრილის საგანგებო თავად-აზნაურთა კრებაში მონაწილეობას იღებდა არა მარტო 48 პირი, რომელთაც უფლება ჰქონდათ საარჩევნო ხმისა, არამედ ბევრით მეტი, რომელთა შორის უმრავლესობამ მონაწილეობა არ მიიღო და არც კენჭი ჩააგდო. ამის შესახებ ქართული გაზეთები ხმას არ იღებენ.

2) კიდევ ვამტკიცებთ იმავე საბუთებით, რომ მათ შორის, რომელთაც კენჭი არ ჩააგდეს, ჩვენც გახლდით, გაბაევი და ჯაბადარი, და, მაშასადამე, ზემოხსენებულ გაზეთების განმარტება, ვითომ იმ ოთხ კენჭში, რომელიც ეკუთვნის ავტონო—მისტიკურ ადრესის მოწინააღმდეგეთ, ჩვენი ორი კენჭიც ერია, მტკნარი სიცრუეა, მათგან გამოგონილი, რაღაც არასაკადრის განზრახვით.

3) ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ადრესის პროექტი, რომელსაც თქვენ 1-ს აპრილს კენჭი უყარეთ, შემუშავებულია იმ პირთაგან კი არა, რომელნიც უნდა არჩეულიყვნენ სათავად-აზნაურო საგანგებო კრებისაგან, არამედ იმ პირთაგან, რომელნიც იყვნენ ამორჩეულნი 31 მარტის კერძო კრების-მიერ, რომლის უმრავლესობა გარეშე პირთ ეკუთვნოდა და არა სათავად-აზნაურო კრების წევრთ.

4) ჩვენ ვამტკიცებთ, რომ მართალს არა ბრძანებს ბ-ნი კოტე აბაშიძე, ვითომ ჩვენს აზრს, რომ პოლიტიკური ავტონომიის თხოვნა უდროოა, ვადვიარებდით მხოლოდ იმიტომ, რომ გვსურდა ეს აზრი „სამერმოდ" გადაგვედო და ამით ავტონომიის თხოვნა, რომელიც ვითომ დროითაა გამოწვეული და თავად-აზნაურთა უმრავლესობის მოთხოვნილებას შეადგენს, აგვეშორებინა. ავტონომიის აშორებას კი არა ვცდილობდით, არამედ წინააღმდეგნი ვიყავით იმ ბავშური ავტონომიის ფორმულირებისა, რომელსაც კოტე აბაშიძე და ამხანაგობა აჩეჩებდნენ საქართველოს ერს.

რადგანაც სასურველი იყო, რომ ცრუ-ავტონომიის მოტრფიალეთ გარკვევით გამოემჟღავნებინათ ნამდვილი დედა-აზრი მათი ავტონომიისა, ერთმა ჩვენგანმა, ი. ს. ჯაბადარმა, გამოაცხადა, რომ მაგ ნიღაბ-აკრულ ავტონომიის მაგიერ, რომლის ფარგალშიაც ადვილად მოთავსდება და შესაძლოა იმალებოდეს ოლიგარხიული ავტონომია, უმჯობესი იქნება პირდაპირ უნიის შესახებ აღეძრათ საკითხი, რომელსაც ისტორიული და იურიდიული საფუძველი მაინც აქვს, მაგრამ ამაზედ სხვებმა და, მათ შორის, ცრუ-მოწმე აბაშიძემ წარმოსთქვა: მაგის თხოვნა საშიში არისო.

5) ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ერთ-ერთმა ჩვენგანმა, იმ კომისიის წევრმა, რომელსაც კერძო კრებამ დაავალა მოეწესრიგებინა თავად-აზნაურთა და გლეხ-კაცთა შორის განხეთქილება, აგისრა გამოერკვია ამ განხეთქილების მიზეზი და, თქვენისა და ორი მაზრის თავად-აზნაურთა თანხმობით, ჩვენ სამივემ დიდი შრომით და მეცადინეობით გამოვარკვიეთ როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური მოთხოვნილებანი საქართველოს ხალხისა და, თქვენის თანდასწრებით, დეპუტატთა საკრებულოში ყოველივე ამა საქმის გარემოებანი განვმარტეთ. სწორედ იმ საბუთებმა, რომელიც კერძო კრებებში შევიმუშავეთ და რომელნიც თქვენც კარგად მოგეხსენებათ, შეგვაძლებინა შეგვემცირებინა სასტიკი და მწვავე განხეთქილება თავად-აზნაურთა და გლეხთა შორის, რის გამო დიდი მადლობა გამოგვითქვით თქვენდა და თავად-აზნაურთა მაგიერ. ამასთანავე იმავე საბუთებმა გზა გაგვიკვლია და დაგვანახვა, რომ ჩვენ ხალხს უპირველეს ყოვლისა სურს მხარი დაუჭიროს რუსეთის ხალხის მოთხოვნილებებს და, გარდა ამისა, მოითხოვოს თავისად სრული თავისუფლება დედა-ენისა ეკლესიაში, სამსაჯვროში, სკოლაში და საზოგადო თვითმართველობის დაწესებულებებში.

ეს ხალხის მოთხოვნილებანი იყო გამოთქმული იმ ადრესში, რომელიც წაკითხულ იქმნა დეპუტატთა საკრებულოში 29-ს მარტს და კერძო კრებაში 31 მარტს და რომელიც მხოლოდ თქვენის თვით ნებობით უარჰყავით და კენჭზე არ ჩამოუტარეთ სათავად-აზნაურო საგანგებო კრების დროს.

II

ამის საპასუხოდ თავ. ალ. ჯამბაკურ-ორბელიანმა შემდეგი წერილი გამოგვიგზავნა გაზეთში დასაბეჭდად:

ბბ. მ. ვ. მაჩაბელს, ი. ს. ჯაბადარს და გ. დ. გაბაევს ჩემდამი მომართულ წერილზე მოგახსენებ შემდეგს:

1) ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრებაზე, 1-ს აპრილს, ხელმწიფის სახელზე შედგენილ ადრესის მისაღებად გამართულ კენჭის ყრას დაესწრო სულ 59 უფლებით აღჭურვილი თავად-აზნაური, ე. ი. ისეთნი, რომელთაც უფლება ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ დადგენილებებში (ერედ წოდებულნი, ცენზის მქონენი). მათში თავ. გ. ა. ბაგრატიონ-დავითაშვილი და ი. ს. ჯაბადარი კენჭის ყრას მოერიდნენ, რაც მათგანვე არის აღნიშნული საკუთარის ხელით მეკენჭეთა სიაში; 9 თავად-აზნაური კენჭის ყრის დროს დარბაზში არ აღმოჩნდა, დანარჩენ 48 თავად-აზნაურთ შორის, როგორც ყველას მოეხსენება, საკითხი გადასწყვიტა 44-მა ოთხის წინააღმდეგ.

2) იმ ცნობიდან, რომელიც საგანგებო კრების შესახებ საქმეში არის მოთავსებული, სჩანს, რომ კენჭის ყრას მოერიდა მარტო ორი პირი: თავ. გ. ა. ბაგრატიონ-დავითაშვილი და ი. ს. ჯაბადარი. რაც შეეხება ბატონს გაბაევს, იგი კენჭის ყრის დროს იმავე 9 პირთა რიცხვში არ აღმოჩნდა კრებაზე.

3) ადრესის პროექტი შეიმუშავა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ჯგუფმა (თავ. ი. გ. ჭავჭავაძემ, გ. რ. ყიფიანმა, თავ. გ. ნ. დიასამიძემ, გ. ი. რცხილაძემ, თავ. ს. რ. ვახვახიშვილმა, მ. ა. გედევანიშვილმა და ა. ი. ყანჩელმა). ეს პირნი დასახელებულნი იყვნენ თავად-აზნაურთა კერძო თათბირზე 31-ს მარტს, რომელიც შესდგა მ. ვ. მაჩაბლის თავმჯდომარეობით. შემდეგ ამ ჯგუფის მიერ შემუშავებული ადრესის პროექტი წარედგინა განსახილველად გუბერნიის წინამძღოლთა და დეპუტატთა საკრებულოს. ამ უკანასკნელმა გადასწყვიტა—ადრესის რედაქცია მოხსენებოდა გუბერნიის საგანგებო კრებას სხვა პროექტთან ერთად, თუ ვინმე ასეთს წარმოადგენდა.

4) მეოთხე მუხლზე მოგახსენებ, რომ მე ჩემს მოვალეობად არ ვრაცხ უარვყო, ან დავადასტურო გაზეთის ცნობები (ამ შემთხვევაში თავ. კოტე აბაშიძის წერილის გამო) კამათის შესახებ, რომელიც ამტყდარა რამდენიმე პირთა კერძო თათბირის დროს.

5) სრული სიმართლეა, რომ ბ.ბ. მაჩაბელმა, ჯაბადარმა და გაბაევმა, მრავალ სხვა თავად-აზნაურებთან ერთად, დრო და შრომა მოანდომეს კერძო თათბირების დროს ქართველ ერის ეკონომიურ და პოლიტიკურ მოთხოვნილებათა გაცნობას, რითაც მე კერძოდ ყველამ დიდად დამავალა, მაგრამ შეიგნეს თუ არა სისწორით ბ.ბ. მაჩაბელმა, ჯაბადარმა და გაბაევმა სახალხო მოთხოვნილებანი, აგრეთვე მოასწრო თუ არა მწვავე ფორმით დაწყებული ხალხის უკმაყოფილება—მღელვარება თავად-აზნაურთა წინააღმდეგ,—ან თუ მოასწრო,—ამ სამ პირთა მეოხებით, თუ არა,—ყოველ ამის დადასტურებას ვერ შევიძლებ, ხოლო ამას კი ვიტყვი, რომ ყოველ სიმართლეს მოკლებულია მათი რწმუნება, ვითომც „მე საგანგებო კრებაზე 1-ველ აპრილს მარტოოდენ ჩემის ნებით არ ვუყარე კენჭი მათგან შედგენილ ადრესის პროექტს".

ყველა მაზრის მარშლებს, დეპუტატებს და დამსწრე თავად-აზნაურობას შეუძლიათ დამემოწმონ, რომ მე ზემო-აღნიშნულ პირთაგან შემუშავებულ ადრესის წაკითხვის შემდეგ კენჭის ყრამდე რამდენჯერმე მივმართე ყველას თხოვნით, წარმოედგინათ კრებისათვის სხვა პროექტი, თუ იგი შედგენილი ჰქონდა ვისმე, მაგრამ არავისგან პასუხი არ მიმიღია.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი

თავ. ალ. ჯამბაკურ-ორბელიანი.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

16 აპრილი.

ვარშავა, 15 აპრილი. ხმა დადის, ამ დღეებში დიდი არეულობა უნდა მოხდესო. ამის გამო ობერპოლიცმეისტერმა ქალაქში განცხადება გააკრა და მცხოვრებლებს აგონებს 19 იანვრის დადგენილებას, რომლის ძალით თავშეყრა აკრძალულია.

ლოძი, 15 აპრილი. დრაგუნთა 4 ესკადრონი მოვიდა.

დონის-როსტოვი, 16 აპრილი. არეულობას ელიან. ხალხი ძალიან დაშინებულია. პოლიცია აცხადებს, რომ უწესობის მოსპობა მარტო მე არ შემიძლიაო. თუმცა უქმე დღეები მოახლოვდა, მაგრამ ვაჭრობა სულ არ არის.

პეტერბურგი. მინისტრთა კომიტეტის საქმეების გამგეს, ბარონ ნოლდეს მაინდვეს კავკასიის ნამესტნიკის პეტერბურგში არ ყოფნის დროს იმის ადგილი დაიჭიროს სახელმწიფოს უმაღლეს დაწესებულებების სხდომებზე და პირადად დაიჭიროს საქმე მინისტრებსა და უფროსებთან იმ საგნების შესახებ, რომლებსაც კავკასიის ნამესტნიკი აღძრავს.

პეტერბურგი, 16 აპრილი (ოფიციალურად). სენატისადმი უმაღლესი ბრძანება სარწმუნოებრივ თავისუფლების შესახებ: „წინაპართა წესისამებრ წმ. მართლ-მადიდებელ ეკლესიასთან მუდმივ ურთიერთობაში ვგრძნობდით მუდამ სიამოვნებას და სულიერ ძალთა განახლებასაც, მაგრამ ამასთან ერთად გულითადად ვცდილობდით მუდამ, რათა ყველა ჩვენ ქვეშევრდომს ჰქონოდა სარწმუნოების და ლოცვის თავისუფლება. ამ განზრახულების განსახორციელებლად 12 დეკემბრის უკაზში ჩამოთვლილ ცვლილებებს გარდა ჩვენ მივათავსეთ აგრეთვე სარწმუნოებრივ შევიწროების მოსპობაც. ახლა განვიხილეთ, მინისტრთა კომიტეტისაგან შედგენილი საამისო კანონები, ვცანით, რომ ეს ახალი კანონები ეთანხმება ჩვენ სურვილს სარწმუნოებრივ თავისუფლების შესახებ, და დავამტკიცეთ მინისტრთა კომიტეტის დადგენილება. ყოვლად შემძლე უფლის კურთხევას ვითხოვთ ამ საქმისათვის, რომელმაც უნდა განამტკიცოს მშვიდობა და სიყვარული, და იმედი გვაქვს, რომ ამით უფრო გაძლიერდება მართლ-მადიდებელი ეკლესია, ყოვლის მადლით შექმნილი, კეთილ მაგალითით, სათნოებით და დარიგებით განმტკიცებული. ამიტომ ვბრძანებთ შემდეგს: 1) მართლ-მადიდებელ ეკლესიისაგან განდგომას და სხვა რომელსამე საქრისტიანო სარწმუნოებაში გადასვლას არ უნდა მოჰყვებოდეს რამე დასჯა, პირად ან სამოქალაქო უფლებების დაკარგვა. ყოველი სრულწლოვანი პირი, რომელიც მართლ-მადიდებელ ეკლესიას მოშორდება იმ სარწმუნოების მიმდევრად ითვლება, რომელსაც თითონვე აირჩევს. 2) ცოლ-ქმარში ერთერთმა თუ გამოიცვალა სარწმუნოება, მათი ბავშვები სრულ წლოვანობამდე არ იცვლიან სარწმუნოებას—ორივემ, ცოლ-ქმარმა, თუ გამოიცვალეს სარწმუნოება, მათ ბავშვებსაც ეცვლება სარწმუნოება, მხოლოდ ბავშვები 14 წლის მეტისანი თუ არიან ძველი სარწმუნოებისანი რჩებიან. 3) იმათ, ვინც ირიცხება მართლ-მადიდებლად და ნამდვილად კი თვითონ ან მისი წინაპარი სხვა სარწმუნოებით ყოფილა, ეძლევათ უფლება იქმნენ გამორიცხული მართლ-მადიდებლობიდან. 4) ყველა ქრისტიანეს ეძლევა უფლება მიიღოს აღსაზრდელად და მონათლოს თავის სარწმუნოების წესისამებრ ის მოუნათლავი ბავშვები, რომლის დედმამა ან ვინაობა უცნობია. 5) კანონით უნდა იყოს გარკვეული განსხვავება, რომელიც სხვადასხვა მწვალებლებში არსებობს. მწვალებლები უნდა იყვნენ გაყოფილი სამ ნაწილად: ა) სტაროობრიადცები, ბ) სექტანტები გ) სხვადასხვა სისხლის სამართლის კანონით აკრძალულ წესების მიმდევრები. 6) წირვის უფლება უნდა მიეცეს ყველას, აგრეთვე უნდა იყვნენ გათანასწორებულნი უფლებებით სტაროობრიადცები და სექტანტები. 7) სტაროობრიადცების სახელი უნდა დარქვას ყველა იმ მწვალებელს, ვინც უარჰყოფს

მართლ-მადიდებელ ეკკლესიის-მიერ შემოღებულ ზოგიერთ წესებს და სცნობს ქრისტიანე სარწმუნოების ძირითად დოღმატებს. 8) მწვალებელთა სამლოცველოების და ეკკლესიების გახსნა და დახურვა უნდა იყოს ხოლმე ნება-დართული ან აკრძალული იმავე წესით, როგორც ქრისტიანების ეკკლესიები. 9) მწვალებელთა სასულიერო წოდებას იგივე უფლება უნდა მიენიჭოს, როგორც აქვთ მართლ-მადიდებელთა სასულიერო წოდებას. 10) მიენიჭოს მათ მღვდელმსახურების უფლება სამლოცველოებში და კერძო სახლებში უსამოსლოდ, აგრეთვე ანდერძის წესის დროს მოწმობის უფლებაც. 11) მწვალებლებს მართლ-მადიდებლებთან შეუღლებისთვის იგივე უფლება მიეცეს, როგორიც აქვს არა-მართლ-მადიდებელ ქრისტიანებს. 12) ხელახლად უნდა გაიხსნას მწვალებლების სამლოცველოები, რომელიც უწინ დაკეტილა სხვადასხვა მიზეზათ და განკარგულებით. 13) ყველა ქრისტიანეს ეძლევა უფლება ააშენოს ეკკლესია, საამისოდ თუ არის საკმაო ფული, მისი სასულიერო მთავრობის ნებართვა და სახუროთმოძღვრო უწყების თანხმობა. 14) ყველა სასწავლებელში საღმთო რჯულის სწავლება უნდა სწარმოებდეს ბავშვების დედა-ენაზე. სადაც არ არის საამისოდ მღვდელი საღმთო რჯულის სწავლება შეუძლია არა-სასულიერო პირსაც. 15) უნდა იქმნეს გადასინჯული ყველა კანონი მაჰმადიანთა შესახებ. 16) უნდა იქმნეს გადასინჯული არსებული კანონები ლამაისტების შესახებ და აკრძალული მათი დარქმევა კერპთაყვანისმცემლებად. 17) უნდა იქმნეს შემოღებული მინისტრთა კომიტეტის ყველა დანარჩენი, გადაწყვეტილებაც 12 დეკემბრის უქაზის მეექვსე მუხლის შესახებ. ამის ასასრულებლად საჭირო განკარგულება უნდა მიიღოს სენატმა. ნამდვილზე მის იმპერატორებით უდიდებულესობის საკუთარის ხელით აწერია „ნიკოლოზ“ ცარსკოე სელო 1905 წ. 17 აპრილი.

პეტერბურგი, 17 აპრილი. მოსკოვში შაბათს ადმინისტრაციის თანადასწრებით გაღეს სტაროობრიადცების ეკკლესიები, რომელნიც 50 წლის განმავლობაში დაკეტილი იყო.

პეტერბურგი, 18 აპრილი. სამხედრო ბეგარაზე გაწვევის დროებით გადადება რუსეთის იმ ქვეშევრდომებისა, რომელნიც საზღვარ-გარედ სწავლობენ, ამას იქით დამოკიდებული იქნება საერო განათლების მინისტრზე, რომელიც ამის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრს შეეთანხმება.

პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორმა ხელმწიფე იმპერატორს მთელი პეტერბურგის სახელით აღდგომა მიულოცა. ხელმწიფე იმპერატორმა გენერალ-გუბერნატორს უბრძანა, პეტერბურგელებს ჩემ მაგივრად მადლობა გადაუხადეთო.

პეტერბურგი, 18 აპრილი. ოფიციალური. 18 აპრილს დილის 5 საათზე იზმაილოვის მე-7 როტის ქუჩაზე, № 17 სახლის ერთ ოთახში ყუმბარა აფეთქდა. ეტყობა, ყუმბარამ გატენის დროს იფეთქა. მსუბუქად დაიჭრა ერთი მდგმური, მძიმედ—მისი ამხანაგი, გამოძიება სწარმოებს.

ბორისოვი, 17 აპრილი. შუა ქალაქში, ელგინდის ქვის სახლის ჭერში თოფის წამლის საწყობი აფეთქდა. მთელი სახლი ცეცხლშია გახვეული.

კანეია, 17 აპრილი. კონსულებმა მთავრობას სთხოვეს, სახაზინო სახლებიდან საბერძნეთის ბაირაღები ჩამოუშვით და იმათ მაგივრად კრიტის ბაირაღები აუშვითო. თუ ამას თქვენვე არ აასრულებთ, ბაირაღებს საერთაშორისო ჯარი ჩამოუშვებსო.

კალიში, 18 აპრილი. რადგან დღეს ახალი სტილით პირველი მაისია, ამიტომ ყველა მაღაზიები დაკეტეს, რაიც კალიშელთათვის ახალი მოვლენაა.

ვარშავა, 17 აპრილი. ვარშავა-ვენის რკინის გზაზე დღეს საქონლის მატარებლები არ გასულან. სახალხო მატარებლები დადიან.

მოსკოვი, 17 აპრილი. მოსკოვის უნივერსიტეტის 26 პროფესორმა საბჭოში განცხადება შეიტანეს და ამტკიცებენ, რომ აკადემიური ცხოვრება პოლიტიკურ რეფორმებზე არ არის დამოკიდებული. პოლიტიკური რეფორმები კი, უნივერსიტეტში წესიერ და მშვიდობიან შრომისთვის, უნივერსიტეტის აზრით, აუცილებლად საჭიროა.

ლონდონი, 18 აპრილი. სარწმუნოებათა შეწყნარების შესახებ ბრძანებას პრესსა დიდ მნიშვნელოვანად სთვლის, მხოლოდ უკვირს, რომ ებრაელები გამორიცხულნი არიან. „დეილი ტელეგრაფი“ ამბობს, რუსეთის ისტორიაში ეს ისეთი დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა, რომ ბატონყმობის გადავარდნას უდრისო. „მორნინგ-პოსტს“ ვაშინგტონიდან აუწყებენ: ამერიკა უკმაყოფილოა იმის გამო, რომ სარწმუნოების თავისუფლება ებრაელებს კი არა აქვს მინიჭებულიო.

სტამბოლი, 19 აპრილი. გუშინ მიტროვიცის ახლოს მაჰმადიანმა მოჰკლა ვუსიტორსკის კაიმაკამი. ოსმალოს ჯარი 18 აპრილს დაეცა მონასტირის ვილაიეტში ბელკომენში აჯანყებულთა ბერძნების რაზმს. 3 მოკლულია, 5 დაჭრილი, დატყვევებულია 47, მათ შორის ბერძნის ორი აფიცერი, ერთი არტილერიის მაიორი ლანიდისი და მეორე ლეიტენანტი ლამბროსი. აჯანყებულნი შეიარაღებულნი იყვნენ მაუზერის თოფებით, შეტაკების დროს დაიჭრა ოსმალოს ერთი ჯარის კაცი.

ოდესა, 18 აპრილი. აღდგომის პირველმა დღეებმა მშვიდობიანად ჩაიარეს, სევასტოპოლიდან მოსული სამხედრო რაზმი დაბინავებულია რუსისა და რუსეთის საზოგადოებათა გემებზე. გემების მიმოსვლა დაიწყო. ქალაქის საზოგადო სამკითხველოს შენობის სამარძველი ჩაჰყარეს.

ვარშავა, 19 აპრილი. გუშინ გაზეთები არ გამოსულა. დღეს დილით მუშები საქმეს შეუდგნენ, მაგრამ შემდეგ ზოგიერთ ქარხნებში გაიფიცნენ.

ლოძი, 19 აპრილი. გუშინ მუშებს მანიფესტაციას ელოდნენ, მაგრამ არა მომხდარა რა. დღეს დილიდან ყველა ქარხნები მუშაობს. გუშინ ვიღაც უცნობმა ღიდ ქუჩაზე ბოქაულს თოფი ესროლა, მაგრამ ვერ მოარტყა. დამნაშავე დაიმალა.

მოსკოვი, 19 აპრილი. დიდი მთავრის სერგეი ალექსანდრის-ძის გვამის ჩუდოვო მონასტერში დაკრძალვა დანიშნულია 29 აპრილისთვის. დღესასწაულებმა მშვიდობიანად ჩაიარეს.

პარიზი, 19 აპრილი. იაპონიას აზრადა აქვს გაათავისუფლოს და საელჩოებად აქციოს დიპლომატიური მისიები ლონდონსა და პარიზში და პარიზის საელჩოსთვის მშვენიერი სასახლე უნდა შეიძინოს.

კოვნო, 19 აპრილი. ღამე ველიამპოლსკის სლობოდაში დაიწვა 11 სახლი. დაიწვა სიღარიბის სამზრუნველოს სახლიც.

კელნი, 18 აპრილი (ვოლფი). „კელნიშე ცეიტუნგ“-ი სწერს, გაზეთ „ტან“-ის ცნობა, ვითომც ტრიპოლიტანიაში საფრანგეთის კონცესსიის შესახებ ხმები გერმანიას გავრცელებინოს რომ იტალიასა და საფრანგეთს შორის თანხმობა გამოეწვიაო,—სიცრუეაო. გაზეთი „ტან“-ის ასეთ საქციელს არა კეთილ სვინიდისიერობას უწოდებს.

პეტერბურგი, 16 აპრილი. უმაღლესის ბრძანებით უმართებულესის სენატის სახელობაზე,—ფინანსთა და შინაგან საქმეთა მინისტრების მოხსენებისამებრ, თანახმად 11 თებერვლის 1904 წ. მანიფესტის იმ მუხლისა, რომლის ძალით შეღავათი ეძლევა სოფლის მცხოვრებთ სასურსათო თანხიდან ნასესხების გადახდაში,—სასოფლო საზოგადოებათ ეპატიათ სრულიად საიმპერიო თანხიდან საკვებად და სათესლედ 1867 წლიდან 1894 წლის 14 აპრილამდე გატანილი სესხი; ხოლო ნახევარი საერთო და საგუბერნიო თანხიდან იმავე საჭიროებისათვის 1894 წლის 14 ნოემბრიდან მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადებამდე გატანილი სესხი, სხვათა შორის, ბაქოსა და ტფილისის გუბერნიებშიც. იმ ოჯახებს, რომლის წევრნი გაწვეულ არიან სამხედრო ბეგარაზე, ეს სესხი სრულიად ეპატიებათ.

ამ უმოწყალესის ბრძანებით ნაპატიები სესხი, „ტორგოვო-პრომ. გაზ.“ ანგარიშით, 74,000 მილ. მანათს შეადგენს. საიმპერიო თანხას ვალად ედებოდა ხაზინის 75 მილიონი მანათი. ამ ნაპატიებ თანხის ნაცვლად, საიმპერიო სასურსათო თანხამ უნდა შეუვსოს საგუბერნიო თანხებს 1,310,000 მანათამდე.

მოსკოვი, 17 აპრილი. დილის 4 საათზე ცეცხლი გაუჩნდა პოლიტეხნიკუმის მუზეუმს, საარქიტექტურო ნაწილი სრულიად დაიწვა, დაზიანდა საფიზიკო განყოფილება, ბიბლიოთეკა, გამოცემათა საწყობი და სამეურნეო განყოფილება. შენობა დაზღვეულია 412 ათას მანათზე, რამდენსამე მილიონად ღირებული კოლლექციები დაზღვეული იყო 160 ათას მანათზე.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

18 აპრილი.

ლაბუანი, 17 აპრ. გემი „ლინდუენი“, რომელიც ვლადივოსტოკში (?) ქერით დატვირთა, დღეს დილით შანჰაის წავიდა. ეს გემი აქ 7 კვირა იდგა.

ცინტაუ, 17 აპრ. (რეიტ.). როჟესტვენსკის ფლოტი და მესამე ესკადრა ხაინანის კუნძულის მახლობლად იმყოფება.

საიგონი, 17 აპრ. ნამდვილ წყაროებიდან იუწყებიან, რომ როჟესტვენსკის ესკადრა ფილიპინის კუნძულებისკენ მიდის, რათა იქ ვლადივოსტოკის კრეისერებს შეუერთდეს.

ტოკიო, 17 აპრილი („დეილი ტელ.). რუსეთის მეორე და მესამე ესკადრები 19 აპრილს დილით შეერთდებიან. ორივე ესკადრები კამრანსა და ვარელის კონცხთან არიან. ჰონკონგიდან ნატანგის ნავთსადგურში შარშანვე გადიტანეს აუარებელი ნახშირი და სურსათი ფლოტისთვის.

ლონდონი. კორეაში 60 ათასი იაპონელი გადასახლდა. იაპონელთა ახალშენი იწყება ფუზანში და თავდება სეულ-გენზან-ტიმპინის რკინის გზასთან. უცხოელთა მრჩევლების უმეტესობა სეულიდან წავიდა. იმათი ალაგი იაპონელებმა დაიჭირეს. კორეაში სულ 1500 კორეელი სალდათია.

გუნჯულინი, 15 აპრილი. 13 აპრილს შახოძის მახლობლად კაზაკებმა იაპონელთა მზვერავი რაზმი უკუ აქციეს.

ლონდონი, 16 აპრ. (რეიტ.). გოსპორტში საადმირალოს ლორდმა ლიმ სიტყვა წარმოსთქვა, შორეულ აღმოსავლეთის ომმა დაგვანახვა, რომ გემთა აშენების სისტემა შესამჩნევად უნდა შეიცვალოსო. საადმირალო პორტსმუტში ისეთ გემების აშენებას აპირობს, რომლის მაგვარი ჯერ არც ერთ სახელმწიფოს არა ჰქონიაო.

შანჰაი, 16 აპრილი. ფუჯოუს მახლობლად იაპონელებმა სასიგნალო სადგური გააკეთეს, ალბად იმიტომ რომ აქედან ფორმოზამდე უმავთულო დეპეშა გააკეთონ.

საიგონი, 18 აპრილი. საფრანგეთის წყლებზე ნეიტრალიტეტის უზრუნველ-საყოფელად, კოხინხინის საზღვაო დივიზიის მობილიზაცია მოახდინეს.

შანჰაი. რუსები საიდუმლოდ ყიდულობენ ადგილობრივ გემებს, რომლებიც საათში 11 მილის სისწრაფით დადიან. ხუთი გემი უკვე იყიდეს. ამბობენ, ამ გემებს სხვადასხვა მხარეს გაგზავნიან, რომ ტოგოს ესკადრა იპოვნონ.

პარიზი. როჟესტვენსკის ესკადრამ შეიპყრო ინგლისის გემი „ბეატრისა“, რომელიც ბრინჯით იყო დატვირთული. დამზღვევი საზოგადოებანი შიშობენ, რუსები ავსტრალიიდან მომავალ ბევრს ცხენებითა, სურსათითა და ბამბით დატვირთულ გემებს შეიპყრობენო.

ლონდონი. „დეილი ტელ“. იმედი აქვთ, რომ ადმირალი როჟესტვენსკი ამ რამდენისამე დღის შემდეგ ნებოგატოვს შეუერთდებაო. უნდა ვიფიქროთ, რომ როჟესტვენსკი ფორმოზას შორი-ახლოს იქნება, რადგანაც კუნძულთან მიახლოვება მისთვის საშიშია.—ერთი ინგლისელი ინჟენერი იაპონიაში წავიდა, რომ წყალქვეშ მავალ ნავების აგებას დაესწროს. იმას თან ნებართვა აქვს ამ ნავების გაუმჯობესობის შესახებ და ამტკიცებს, რომ მისი გეგმით აგებული ნავები უფრო მალე ჩაეშვებიან წყალ-ქვეშ, შეუძლიათ წყალ-ქვეშ 25 დღე დარჩნენ და მათ კამანდას, წყალში მცურავთა ტანისამოსში გამოწყობილთ, შეეძლებათ იმ დროს მიატოვონ ხოლმე ნავები, როდესაც იგინი წყლის ქვეშ არიან. ამბობენ, ამ ინჟენერმა თავისი გეგმები წარუგინა რუსეთისა, ინგლისისა და საფრანგეთის სადმირალოებს, მაგრამ არ მიიღესო.

ტოკიო. სინგაპურიდან დეპეშით იუწყებიან, რომ კონტრ-ადმირალმა ნებოგატოვმა 16 აპრილს ნავთსადგურის მახლობლად გაიარაო. ამბობენ ათი დღის შემდეგ დიდი ამბები მოხდებაო. აქ ცნობები მოვიდა, ბალტიის ესკადრამ ბრინჯით დატვირთული ორი გემი შეიპყრო.

ვაშინგტონი, 19 აპრილი. დიპლომატთა კორპუსის წევრნი ვაშინგტონში დასცინიან რუსეთის მთავრობას იმის გამო, რომ სამხედრო მინისტრის ტოფტის იაპონიაში მომავალ მოგზაურობას რუსები მეტად დიდ მნიშვნელობას აძლევენ.

ჟანჟაძი, 19 აპრილი დილის 11 საათი და 20 წუთი. საგრძნობელი ცვლილება არა მომხდარა-რა. დალიაოხეს დასავლეთით, ხალხი ხუნხუზების მხეცობას გაურბის. ხუნხუზების ორგანიზაცია უმჯობესდება. დანამდვილებით შეიტყეს, რომ ხუნხუზებს იაპონელი ინსტრუქტორები სწრთვნიან და წესიერ თოფის სროლას ასწავლიან. ბრბოებს დარიგებული აქვს იაპონიის საველე ზარბაზნები.—სალიტონიო ღვთის მსახურება მოძრავ საყდრებში გადიხადეს. სალდათებმა რუსეთიდან სააღდგომო საჩუქრები მიიღეს. დღე ღრუბლიანია. წვიმს.

ტოკიო, 19 აპრილი (რეიტერი). მეხუთე შინაგან 100 მილიონიან სესხის განცხადებები ჯერ მზად არ არიან. სესხი ნება-დართულ იქმნება პრემიით. ხელი მოაწერეს უმთავრესად წვრილმა კაპიტალისტებმა.

ჰონკონგი. ამბობენ, ჩინეთის ზღვაში, პარაპელზასა და ლიუცონის კუნძულებს შუა, ქარიშხალი მძვინვარებს და ანამისკენ მიჰქრის. ბალტიის ესკადრა განსაცდელშიაო.

გუნჯულინი, 18 აპრილი (საკუთარი კორ.). ომის ველზე ცვლილება არა მომხდარა-რა.

ხარბინი, 19 აპრილი. გენ. რენენკამფმა 10 აპრილს კაიუანი დაზვერა. ჩინელების სიტყვით მტრის უმთავრესი ჯარი ტელინთანა სდგას. გენერალმა ლინევიჩმა კორესპონდენტს სხვათა შორის უთხრა: „ღვთის შეწევნით, თუ ჯარები გამომიგზავნეს, რაც კი შემიძლიან, ყველაფერს ვიღონებ. ყოველ შემთხვევაში დარწმუნებული იყავით, რომ ჩვენ უკან აღარ დავიხევთ“.

ბერლინი, 19 აპრილი. ომის ველზე საქმის ვითარების შესახებ «ლოკალ-ანცაიგერი» სწერს, როგორც ეტყობათ, იაპონელებმა წინ-სვლა შესწყვიტესო. უნდა ვიფიქროთ, იაპონელები ზღვაზე ბრძოლის შედეგის მიხედვით მოიქცევიან. რუსის ფლოტის გამარჯვებამ, შესაძლებელია, იაპონელები აიძულოს დაჭერილ ადგილებს თავი გაანებონო. პოლკოვნიკი გედკე ამბობს, რაც ლინევიჩმა მთავარ-სარდლობა ჩაიბარა, რუსის ცხენოსანმა ჯარმა ენერგიული მოქმედება გამოიჩინა და მის მაგივრად იაპონელები ველარაფერს აკეთებენო. ეს იმას ამტკიცებს, რომ იაპონელებს რუსებზე უფრო მეტი ზარალი მოსდით. „ვინერ ალგემეინე კორ“-ის ფიქრით, ესკადრებს შეტაკება მოუხდებათ ან ცუსიმას კუნძულთან, სადაც, როგორც ამბობენ, ამჟამად ტოგო იმყოფება, ან ვლადივოსტოკთანაო.

(ღამის დეპეშები იხ. მე-2 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

მომავალი ბრძოლა ზღვაზე. ბერლინიდან „რუს“-ს დეპეშით ატყობინებენ: აქაურ ცნობებით, რუსეთის ესკადრა ჩრდილოეთისკენ მიდის. გერმანელ მეზღვაურთა აზრით, ბრძოლა დღეს-ხვალ უნდა მოხდეს. ერთი ადმირალი ამბობს, იაპონელები თვიანთ ბაზას არ მოშორდებიან და ამიტომ ბრძოლის დაწყებაც როჟესტვენსკიზეა დამოკიდებულიო. ტოკიოდან იუწყებიან: იაპონელებს აუარებელი ჯარი, სურსათი და იარაღი გადააქვთ მანჯურიაში. კორეიდან მარშალ ოიამას დიდი ჯარი მოაშველეს. მარშალი ოიამა საიერიშოდ ემზადება და ამ ახლო ხანს რუსებს კიდეც მიესევა (რ.).

მანჯურიაში. უკანასკნელ კერძო ცნობებით, რომელნიც რუსეთის ჯარიდან მოდიან, 15 თებერვლიდან 26 თებერვლამდე რუსეთის ჯარს 144 ათასი მოკლული, დაჭრილი და დატყვევებული დააკლდა. იაპონელებმა რუსებს წაართვეს 120 საალყე სამთო ზარბაზანი, 68—საბარო, 40 ათასი თოფი, 15 მილიონი პატრონა, აუარებელი ქარავანი, ყუმბარა, სურსათი და სხვადასხვა მასალა. სურსათის დაკარგვა რუსეთისათვის დიდი უბედურება იყო. ამჟამად რუსეთის ჯარის ზურგი ცუდ დღეშია. სურსათი გამოლეულია, აღარაფერი იშოვება. 1 ფუთი ქერი 4 მან. ფასობს, ნამჯა, რომელიც წინად გროშის ფასად იყიდებოდა, ეხლა 8 აბაზი ღირს. ვლადივოსტოკშიაც აკლიათ სურსათი, მაგრამ უბედურება ის არის, რომ საიდანმე მოტანაც არ შეიძლება. იგივეა ამურსა და ბაიკალზედაც. ირკუტსკში გაშავებული და დამწარებული ფქვილი ფუთი 4 მან. და 40 კაპ. ღირს. ერთი სიტყვით მანჯურიასა და ციმბირს პური აკლიათ (ს. ო.).

გენ. სახაროვი, მანჯურიის ჯარის მთავარ-შტაბის უფროსად ნამყოფი, პეტერბურგში ჩამოვიდა. სახაროვს ლიაოიანის ბრძოლის წინა დღეს სათონოების დაზე დაუწერია ჯავარი. ეს სახაროვი ეხლანდელ სამხედრო მინისტრის ძმა არის (რ. ვ.).

იაპონელთა ხერხი. იაპონელები ბრძოლის ველზე თავის აზრის განსახორციელებლად ყოველ წვრილმან შემთხვევითაც კი სარგებლობენ. ოფიციალურ სამხედრო ჟურნალის „რუს. ინვალიდ“-ის კორესპონდენტს რამდენიმე ამისთანა მაგალითი მოჰყავს.

მუკდენის ბრძოლის დროს,—სწერს კორესპონდენტი,—ჩვენი ჯარის უკან მთავარ შტაბის ფორმაში გამოწყობილი აფიცერი დადიოდა და ყვიროდა, ყველას არწმუნებდა და ურჩევდა, საჩქაროდ უკან უნდა დავიწიოთ, თორემ იაპონელები გაგვანადგურებენო. ამ აფიცრის ლაპარაკი და ყვირილი ჯარში საშინელ შთაბეჭდილებას ახდენდა. მერე აღმოჩნდა, რომ ეს კაცი მართალი აფიცერი იყო, მხოლოდ რუსეთისა კი არა—იაპონიის მთავარ შტაბისა. ამ კაცმა თავის

ფელეტონი

დაღესტნის ავ-კარგი

არის ერთი მხარე ხალხის ყოფა-ცხოვრებაში, რომლითაც რუსეთის ყველა ქვეშევრდომნი, განურჩევლად ეროვნებისა, თანასწორნი არიან. ეს მხარე არის მათი დაბეგვრა მთავრობის—მიერ. მერე რა და რა ბეგარა არ აწევს რუსეთის ბედდამწვარ მკვიდრს: ეს „ობროჩნი სტატია“, ეს სახელმწიფო გადასახადი მიწა-წყალზე, ეს საერობო, ეს საგზაო, ეს საურმო, ეს საბინო (квартирная повинность), ეს სამხედრო და კიდევ მრავალგვარი პირდაპირი და არა-პირდაპირი გადასახადები, რომლის რაოდენობის გამოთვლას ცალკე კუთხის მცხოვრებზე ანგარიში არ უდგება.

ამმხრივ არც დაღესტანი არის გაწბილებული. ყველა ზემოდ ჩამოთვლილი და არ-ჩამოთვლილი ხარჯები მთელი თავის სიმძიმით და სიმწარით აწევს ბედისაგან ათვალისწუნებულ და ღვთისაგან და კაცისაგან დავიწყებულ დაღესტნის მკვიდრს. ამასთან გადასახადები იკრიბება, მაგრამ თვით ხალხზე ეს მოგროვებული ფული უმეტესად არც იხარჯება. მაგალითად, სახელი „საერობო გადასახადი“ სრულებით არ შეეფერება ამ გადასახადის შინაარსს, რადგან ეს გადასახადი დაღესტანში, როგორც მთელ კავკასიაში, მართალია, ერისაგან იკრიბება, მაგრამ ერის საჭიროებას კი აქედან თითქმის არა ხმარდება-რა. ნუთუ საერობო დარაჯები, რომელთა შენახვას ორი მილიონი მანათი უნდება, ერს ემსახურებიან!

როგორც ყველგან, ისე დაღესტანშიაც გადასახადები უმეტეს ნაწილად გლეხებს აწევს კისერზე. გავარჩიოთ ცალ-ცალკე ამ გადასახადთა რაოდენობა, რამდენადაც ეს შესაძლებელია.

1901 წლიდან დაღესტანში საკომლო გადასახადის მაგიერ დაწესდა სადგილ-მამულო გადასახადი. ამ ცვლილებას კი გლეხობისათვის არა თუ არაფერი შეღავათი არ მოუტანია, არამედ მათი მდგომარეობა შესამჩნევადაც გააუარესა, ვინაიდან გლეხების მიწა-წყალი თითქმის სულ მთლად სახელმწიფოს კუთვნილებას შეადგენს და ასეთ მიწას შედარებით დიდი ბეგარა აწევს. შუათანად „დესეტინა“ სახელმწიფო ადგილს ადევს იჯარა $19\frac{1}{3}$ კაპ., კერძო სასაკუთრო მიწას კი სახელმწიფო გადასახადი „დესეტინას“ უწევს მხოლოდ 3,3 კაპ. ამნაირად გლეხის მიწა ექვსჯერ უფრო დიდად არის დაბეგრილი, ვიდრე სხვა წოდებათა ადგილები. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ გლეხი იმ ადგილს, რომელიც მას მიზომილი აქვს, ვერც გაჰყიდის, ვერც დააგირავებს და ვერც გასცვლის.

სანამდის სადგილ-მამულო გადასახადი დაწესდებოდა, ე. ი. 1901 წლამდის, მთელ გლეხობაზე წლიურად ყოფილა გაწერილი საკომლო გადასახადი—169,383 მან. და საერობო—113,513 მან. რაც ერთად შეადგენს—272,896 მან. რეფორმის შემოღების შემდეგ კი მხოლოდ სოფლის საზოგადოების ადგილებზე ყოფილა გაწერილი წლიურად სახელმწიფო იჯარა—210069 მან. და საერობო, რომელსაც აგრეთვე უმატნია—128,014 მან. ერთად კი ორივე გადასახადი შეადგენს—338,083. მან. ამნაირად, რაც უწინ მთელ გლეხობაზე იყო გაწერილი, ზემოდ აღნიშნულ ცვლილების შემდეგ 65,187 მან. იმაზედ მეტი გაწერილა მხოლოდ სახელმწიფო გლეხებზე. სავსებით კი რომ აღირიცხოს მთელი გადამეტებული გადასახადი, რომელიც საერთოდ გლეხობას მოემატა, ამ 65,187 მან. უნდა მივათვალოთ იმ სახელმწიფო და საერობო გადასახადთა რაოდენობაც, რომელიც იკრიბება გლეხების საკუთარ ადგილებზე. ეს უკანასკნელი ცნობები, სამწუხაროდ, არ მოიპოვება.

მდგომარე სამი წლით სახელმწიფო იჯარა შეუმცირებიათ 29,000 მანათით წლიწადში. ალბად იმიტომ, რომ სრულიად შეუძლებელი შექმნილა ამოდენა გადასახადის მოკრება. რამდენად ხალხი გაღატაკებულია და უჭირს ამ ხარჯების გადახდა, სჩანს შემდეგ ცნობებიდანაც:

დარჩენილა გადუხდელი.

	სახელმწიფო იჯარა.	საერობო გადასახადი.	სულ.
1 იანვ. 1902 წ.	—57,709 მან.	26,368 მ.	84,077 მ.
1 „ 1903 „	—92,943 „	50,091 „	143,034 „
1 „ 1904 „	126,685 „	62,904 „	189,589 „

ამ ცხრილიდან ნათლად სჩანს, რომ, რაც დრო მიდის, „ნედოიმკების“ რაოდენობა მატულობს. ამ გარემოების ახსნა შეიძლება მხოლოდ ხალხის განუსაზღვრელ სიღარიბით, ვინაიდან ყველას კარგად მოეხსენება, რომ განსაკუთრებით კავკასიის ადმინისტრაცია ხარჯების მოკრების საქმეში არა-ჩვეულებრივს ენერგიას იჩენს და, თუ ხარჯები ხალხის-მიერ მაინც გადუხდელი რჩება, ეს აიხსნება მხოლოდ იმ ჭეშმარიტებით, რომ არარისაგან რაიმეს აღება შეუძლებელია. გადუხდელი ხარჯები 1904 წლისთვის უდრის 189,589 მ., რაც 53,11 პროცენტს შეადგენს მთელის გადასახადისას.

დაღესტნის მკვიდრნი სამხედრო ბეგარას ფულად იხდიან, რაც წლიურად უდრის 38,000 მან. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ გლეხობა მთელი დაღესტნის მცხოვრებთა რიცხვის 94%-ს შეადგენს, შეგვიძლიან დანამდვილებით ვთქვათ, რომ ამ ხარჯიდან გლეხობა იხდის 36,720 მან. (94%). ამ ბეგრის ნედოიმკებიც ყოველ წლობით მატულობს. 1901 წლიდან დარჩენილა გადუხდელი—5438 მან., 1902 წ.— 8572 მან. და 1903წ.—10,640 მანათი.

სრულიად აუტანელი ხდება მცხოვრებთათვის საგზაო (дорожная) და საურმო (подвозная) ბეგრები, რომელთა გამოთვლა ფულად დაახლოვებითაც შეუძლებელია. ამ კითხვის ცოტაოდენ დასასურათებლად მაინც ხელთ გვაქვს შემდეგი ცნობები: გზის საკეთებლად 1901 წლის განმავლობაში გამოუწვევიათ 142,770 დღიური მუშა და 1900 ხარ-ურემი. დღიურ ქირად თითო მუშაზე იმ მაზანდის მიხედვით, რომელიც არის დაღესტანში, შუათანად რომ ვიანგარიშოთ 70 კ. მაინც, გამოდის, რომ ხალხს 100,000 მანათად ღირებული სამუშაო შეუსრულებია; ხარ-ურემს კი დღიურად უნდა ვიანგარიშოთ 1 მან. 50 კაპ., რაც გამოწვეულ ხარ-ურემთა რიცხვისთვის შეადგენს 2850 მან. სულ მთელი საგზაო ბეგარა უდრის 102,850 მან. 1903 წელში გაუწვევიათ 124,216 მუშა და 8021 ხარ-ურემი. მათგან შესრულებული სამუშაო ფულად უდრის 100,651 მან.

ამ ცნობებიდან შეგვიძლია დავსკვნათ: გლეხობის წლიური საგზაო ბეგარა, ფულზე რომ ვიანგარიშოთ, 100,000 მან. მეტს შეადგენს. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ გზების მოვლა-პატრონობის ხელმძღვანელობა და აგრეთვე ახალი გზების გაყვანის ინიციატივა ადმინისტრაციის ხელშია და ვინ არის თავმდები, რომ ხალხის შრომა უმეტეს ნაწილად უსარგებლოდ არ იკარგება! თუ გავიხსენებთ „სულაკის“ არხის გაყვანის ისტორიას, ჩვენი ეჭვი არც ისე უსაფუძვლოდ უნდა ჩაითვალოს.

მთელ დაღესტნის მხარეში გლეხობა უვლის 11,131 ვერსის სიგრძის გზებს. იმ შრომის გარდა, რომლის რაოდენობის გამოთვლა ზემოდ ვეცადეთ, იგივე გლეხობა კიდევ იძულებულია ყოველ წლობით თავის გამოფხეკილ ჯიბიდან დახარჯოს 35,000 მანათამდის ამ გზების საჭიროებისათვის.

საურმო ბეგარის რაოდენობის გამოსაკვლევად ხელთ გვაქვს მხოლოდ შემდეგი ცნობები: 1901 წლის განმავლობაში ბეგარაზე გამოუწვევიათ 1858 ხარ-ურემი, 1613 ცხენი და 618 სახედარი, 1903 წელში კი 2327 ხარ-ურემი და 981 ცხენი. ამას უნდა დავუმატოთ აგრეთვე ისიც, რომ, როგორც ურემს, ისე ცხენსაც თითო კაცი მაინც უნდა გაჰყვეს. ცნობები არ მოიპოვება იმის შესახებ, თუ რამდენ დღეს ყოფილა ბეგარაზე ზემოდ აღნიშნული რიცხვი ხარ-ურემებისა და ცხენებისა, რის გამო ამ ბეგარის გამოთვლა დაახლოვებითაც კი შეუძლებელია. მართალია თითქმის ნახევარჯერ ამ ბეგარის ასრულებისათვის „პრაგონის“ ფული აძლიათ, მაგრამ ეს სასყიდელი ისე მცირეა, რომ სამესამედოთაც ვერ უზღავს ხარ-ურმის ანუ ცხენის პატრონს იმ ზარალს, რომელიც მას ამ ბეგარის ასრულებით მოსდის.

სრულიად ვერ უდგება ანგარიში იმ ზარალს, რომელსაც ეს ნატურალური ბეგრები აძლევს გლეხობას მით, რომ, რაც უნდა გასაჭირი და საჩქარო სამუშაო ჰქონდეს სახლში, გლეხი იძულებული ხდება უსათუოდ მიატოვოს თავისი საქმე და ბეგარაზე გავიდეს. ამ შემთხვევაშიაც, როგორც ყოველთვის და ყველგან ადმინისტრაცია შეუბრალებელია. ის არასოდეს არ ცდილობს გამოარჩიოს ისეთი დრო ხალხის ბეგარაზე გამოსაყვანად, როდესაც გლეხი შედარებით უფრო თავისუფალია. ადმინისტრაციის მოხელეს, აღჭურვილს განუსაზღვრელ უფლებებით, სრულიად არ აფიქრებს ის გარემოება, რომ გლეხს ხშირად ბეგარაზე გამოსვლით მთელი წლის მოსავალი ეცლება ხელიდან.

დაღესტნის გლეხობას აგრეთვე აწევს კისერზე ჯარის კაცებისთვის ბინების მოწყობა, ვინაიდან აქ ჯარები სოფლად არიან გაბნეულნი, თითქო სამხედრო წესები სწარმოებდეს განუწყვეტლივ. გლეხობა იძულებულია, მუდამ აძლიოს ბინა 1500 ჯარის კაცს იმ ბინების გარდა, რომელიც სხვადასხვა სოფლებშია აშენებული საერობო ხარჯით და ამავე წყაროდან ინახება.

აი, ის პირდაპირი გადასახადები, რომლის აღნუსხვა მაინც შეიძლება. მხოლოდ ხალხი უფრო მძიმედ არის დაბეგრილი არა-პირდაპირის გადასახადებით და ამ გადასახადთა აღნუსხვა დაახლოვებითაც მოუხერხებელია.

ახლა გავიგოთ, რა სახით და რამდენს უბრუნებს ხალხს ხაზინა ამ მოკრებილ გადასახადებიდან. განსაკუთრებით საყურადღებოა აღვნუსხოთ, რაში და რამდენს ხარჯავს მართებლობა საერობო სახით მოკრებილ თანხას. შიდა რუსეთში ამ ხარჯის მოკრება და ამით მცხოვრებთა სხვადასხვა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, როგორც მკითხველს მოხსენება, საზოგადოების, ე. ი. ერობის ხელშია. დაღესტანში კი, როგორც მთელ კავკასიაში, ამ ხარჯის მოკრება და მერე ხალხის საჭიროებაზე დახარჯვა ადმინისტრაციას აქვს დავალებული. აბა, შევადაროთ, ხალხის რა და რა საჭიროებას აკმაყოფილებს ამ თანხით ერობა შიდა-რუსეთში და ადმინისტრაცია—დაღესტანში.

პირველი აკმაყოფილებს მცხოვრებთა სწავლა-განათლების მოთხოვნილებას,—როგორც საზოგადოს, ისე სპეციალურს (უმეტეს ნაწილად სამეურნეოს),—სკოლებისა და წიგნთ საცავ-სამკითხველოების გახსნით, ზრუნავს ხალხის ჯანმრთელობისათვის, რისთვისაც აარსებს საავადმყოფოებს, სადაც უფასოდ უწევს ყოველგვარ საექიმო დახმარებას და აგრეთვე აწვდის მას უფასოდვე არა თუ ექიმის რჩევა-დარიგებას, არამედ წამალსაც, აწვდის ხალხს, სხვადასხვა წიგნაკებსა და, საჯარო საკითხავების საშუალებით, ყოველგვარ საჭირო ცნობებს, ავრცელებს ხალხში მრავალგვარ თესლეუ-

საქმე გააკეთა: რუსეთის ჯარის სულიერი მდგომარეობა და რაოდენობა გაიგო, პოზიციები და სიმაგრეები დაათვალიერა და მიიმალა. მეორედ იმავე ბრძოლის დროს ერთ პოლკის უფროსთან ბაიკალის ყაზარმის ფორმაში გამოწყობილი იაპონელი მივიდა და უთხრა, კორპუსის უფროსის ბრძანებით, აგე, იმ ალაგას ჩვენმა (რუსის) რაზმმა უნდა გაიაროს და სროლა შეაჩერეთო. სროლა მართლა შეაჩერეს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იმ ალაგას რუსეთის ჯარის მაგივრად იაპონიის ჯარი მიდიოდა, მაგრამ გვიანღა იყო: მამაცმა იაპონელმა თავისი გაიტანა და იაპონიის ჯარს საქმე გაუადვილა (ს. ო.).

ახალი ამბავი

✦ სოფ. ტირძნისიდან გვატყობინებენ: ამ დღეებში აქ 50 კაზაკი ამოვიდა. აღდგომის პირველ დღეს აქაურ **გლეხებს და კაზაკებს შეტაკება მოუვიდათ,** კაზაკებმა იარაღი იხმარეს, 7 გლეხი მოკლეს და 10 დასჭრეს. მიზეზი შეტაკებისა შემდეგი იყო: ამ დღეს მამაკაცები ეკლესიაში იყვნენ. კაზაკებმა ამით ისარგებლეს და შინდარჩენილ ქალებს მიუვარდნენ, რამაც საშინელი სისხლის ღვრა გამოიწვია. ამ ამბავმა კერძოდ ტირძნელები და საზოგადოდ მთელი ქართლი ისე ააღელვა და ააშფოთა, რომ ახალი და უფრო უარესი სისხლის ღვრა დღედღეზე მოსალოდნელია.

✦ როგორც დუშეთიდან გვატყობინებენ სამშაბათს, 19 აპრილს, ტფილისიდან მისულა ასი კაზაკი. **კაზაკები სოფ. გრემისხევში დაბანაკებულან.**

✦ სოფ. საგურამოში **დაბანაკებული ჯარი,** იქიდან წამოუყვანიათ.

✦ როგორც სოფ. ცაგერიდან გვატყობინებენ იქ **ვილასაც გადაუწვავს** დიდის მთავრის კუთვნილი სადგომი.

✦ ს. კობიაანთ-კარში **დაუპატიმრებიათ ბ-ნი ქვლივიძე,** გლეხთა მოძრაობაში მონაწილეობის მიღებისათვის.

✦ ამიერ-კავკასიის მთავარ-სადგურების დეპოებში სამუშაოდ **ჩამოვიდა 40 სამხედრო მემანქანე და 60 თანაშემწე.** ყველა ესენი დეპოებში უკვე გაამწესს.

✦ რკინის გზის სამხედრო ბატალიონი, 400 ჯარის კაცისაგან და 9 აფიცრისაგან შემდგარი, უკვე გამომგზავრებულა ბრანოვიჩიდან **ამიერ კავკასიის რკინის გზაზე სასამსახუროდ.** ბინა ამ სამხედრო რკინის გზის ბატალიონს ალექსანდროპოლში ექნებათ. ამ 400 ჯარის კაციდგან ზოგი მემანქანეა და ზოგიც მისი თანაშემწე.

✦ როგორც გავიგეთ, რკინის **გზების უფროსს ივანოვსკის შუამდგომლობა აღუძრავს** უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ რკინის გზის კონდუქტორებს აუნაზღაურონ ის ზარალი (21,000 მან.), რომელიც მათ მიეცათ იანვარ-მარტში გაფიცვების გამო მატარებელთა მოძრაობის შემცირებით. როგორც მკითხველებმა იციან, განვლილ ვერსზე კონდუქტორებს განსაზღვრული ჯილდო ეძლევათ, ხოლო, როცა მოძრაობა შემცირდა და შესწყდა, ეს შემოსავალი მათ შეუმცირდათ.

✦ ნამდვილ წყაროებიდან გვატყობინებენ, რომ ერევნის გუბერნატორი, გრაფი **ტიზენგაუზენი ტფილისის გუბერნატორად ინიშნება.** ტიზენგაუზენმა პეტერბურგიდან უკვე მიიღო წინადადება ტფილისის გუბერნატორობისა.

✦ მაისის პირველ რიცხვებში აქსტაფას **მოელიან სპარსეთის შაჰს,** მხოლოდ არ იციან კი, შაჰი საითკენ მიემგზავრება.

✦ გენერალ მალამას განკარგულებით, **საალდგომოდ განთავისუფლებულ** იქმნენ გაფიცვისა გამო ფოთში დატუსაღებული რკინის გზის რემონტის მუშები.

✦ ამ თვის გასულს დუშეთის მაზრის თავადაზნაურთა კერძო კრებაზე განხილულ იქმნება საქმე სოფ. ქაისხევის მემამულის, გედევანიშვილისა რომელსაც **გლეხები ბრალსა სდებენ — თვითონ** გაქურდა თავისი სახლი და თავისი ნივთები დაემალა თავის ერთ ნაცნობ ქალის სახლში და ახლა ჩვენ გვაბრალებსო. გედევანიშვილის-მიერ დამალული ნივთები აღმოჩენილა.

✦ გუშინ, 20 აპრილს, ერევნის **მოედანზე, დაიჭრა ფეხში** მესამე გიმნაზიის **მოწაფე ხარაზოვი,** ასე 14-15 წლისა. ამბობენ, ხარაზოვს ჯიბეში რევოლვერი ედოო. გიმნაზიელს ხარაზოვს მარკოზოვის სამკურნალოში შეუხვიეს ჭრილობა. ჭრილობა საშიში არაა.

✦ ამ დღეებში ელისაბედის ქუჩაზე, დიდუბესთან, ერთ **მეფურნის დუქანში შესულა ოთხი შეიარაღებული** კაცი ბერდანკებით, რომელთაც კომიტეტის სახელით 250 მანეთი წაუღიათ: პოლიციას ერთ პირზე მიუტანია ეჭვი. გაჩხრეკის დროს მის ამხანაგს აღმოსჩენია თავისი, საკუთარი 205 მანეთი პოლიციას დაუპატიმრებია იგი, მაგრამ, როცა დარწმუნებულა მის უდანაშაულობაში, ისიც გაუნთავისუფლებიათ. გამომძიებლის დადგენილებით, ეს კაცი ისევ შეუპყრიათ.

✦ მაჰმადანიდან „მშაკს“ ატყობინებენ: „აქ **დასასახლებლად** ბევრი ყარაბაღელი—სომეხი, რუსი და ბერძენი ჩამოვიდნენო.

✦ დუშეთიდან გვატყობინებენ, **ადგილობრივ** განსვენებულ ალ. როინაშვილის თაოსნობითა და ხარჯით დაარსებული **უფასო სამკითხველო დაიკეტა,** რადგანაც ქალაქმა სუბსიდია მოუსპო.

✦ „ჩერნ. პობერ.“ გადმოგვცემს, 3 აპრილს სოხუმის სამეურნეო საზოგადოების კრებაზე დარბაზში შევიდა სოხუმის ბოქაული სკორიკოვი, სხდომა შესწყვიტა და თავმჯდომარეს განუცხადა: ოლქის უმფროსმა, **პოლკოვნიკმა პროგულბიცკიმ აგიკრძალათ** ბჭობის პროგრამის მე-4 მუხლის შესახებ ლაპარაკიო. თავმჯდომარემ წაიკითხა უმართებულეს სენატისადმი 18 თებერვლის უმაღლესი ბრძანება და ბოქაულს მოახსენა: უმაღლესი ბრძანება ოლქის უფროსისათვისაც სავალდებულოა და მე 4 მუხლის განხილვას ვერ აგვიკრძალავსო. მაშინ ბ-ნს სკორიკოვს უთქვამს: ოლქის უფროსი ნებას გაძლევთ (?) თქვენი შუამდგომლობა მინისტრთა საბჭოში წარადგინოთ, ხოლო მასზე საჯაროდ სჯა-ბასს გიკრძალავთო. თავმჯდომარეს სხდომა მაინც არ შეუწყვეტია და საზოგადოებას პოლიციის თვითნებობაზე კავკასიაში ხელმწიფის ნაცვლისთვის საჩივარი გაუგზავნია.

✦ ანდიჟანიდან „მშაკს“ ატყობინებენ, რომ 6 აპრილს, საღამოს $4^1/_2$ საათზე, 10 შეიარაღებული სალდათი გარს შემოერტყა **არშაკ ჰოვჰანასიანის ფიცრის ქარხანას,** დაიჭირეს ა. ჰოვჰანასიანი და პოლიციაში წაიყვანეს. ერთი თათარი ამბობდა, ვითომ იმას 7 თოფი და 2 პარკი პატრონა და რამდენიმე მთავრობისაგან შემოწმებული რევოლვერი უპოვნესო. მეორე დილით, გაჩხრეკის შემდეგ, სალდათებს ფიცრების ქვეშიდან ამოუღიათ 1 თოფი და 500 პატრონა, არშაკას მსახურთან კი 2 რევოლვერი უპოვნიათ. ქარხნის პატრონი ამბობს, 500 პატრონა ჩემი არ არისო, თოფსა და 2 რევოლვერს კი თავის დასაცავად ვინახავდიო. სახლსა და ფიცრის საწყობს ჯარი არტყია.

✦ აღდგომის სამშაბათიდან ერევანში იწყება სომეხ არტისტების ამხანაგობის წარმოდგენები. დასი ერევანში 11 წარმოდგენას გაჰმართავს და შემდეგ გაემგზავრება ალექსანდროპოლში, სადაც კიდევ სამ წარმოდგენას გაჰმართავს („მშაკ.“).

✦ აპრილის 3—10, ქ. ბერლინში, შვეიცარია-ევროპის სომეხ სტუდენტთა კავშირის კრება მოხდა. შემდეგის პროგრამით: **პირველი სხდომა**—კრების გახსნა, ბიუროს არჩევა, დღიურის დამტკიცება. **მეორე სხდომა**—კომიტეტის ანგარიშის ჩაბარება და დამფუძნებელი კომისიის თავმჯდომარის არჩევა. **მესამე სხდომა**—„ბაზშავეპის“ რედაქციის წინადადება. ოსმალეთის სომეხთა კითხვის დიპლომატიური მდგომარეობა—ლექცია ბ. იშხანიანისა, ბერლინის უნივერსიტეტის სტუდენტისა. **სხდომა მეოთხე.**—რუსეთის თანამედროვე რევოლუციონური მოძრაობა. კავკასიაში მომხდარი ქლეტა,—ჟენევის სომეხ სოც.—დემ. სტუდენტების, „კავკას“ ჯგუფის წინადადება. რევოლუციონური პარტიები და კავკასია—ლექცია ა. ტ.—იანისა, ჟენევის უნივერსიტეტიდან. **მეხუთე სხდომა**—სტუდენტი—პროპაგანდისტები, ჟენევის სტუდენტების წინადადება. კავკასიაში უკანასკნელ დროს მომხდარი ამბები,—ლექცია ა. აპარონიანისა. **სხდომა მეექვსე**—რევოლუციონური წიგნაკების კითხვა,—წინადადება ჟენევის სტუდენტებისა და „ჯანქ“-ის კომიტეტისა. სუბსიდია სოციალისტური წიგნაკების გამოსაცემად, წინადადება სომეხ სოც.-დემოკრატების ჯგუფისა. სომხური პოეზია,—ლექცია ს. ჰაკაბიანისა, ლოზანის უნივერსიტეტიდან. **სხდომა მეშვიდე.**—„Corda fratres-“ის წინადადება. „რევოლუციონური პარტიები კავკასიაში, სოც.-დემოკრატია და სომეხ სტუდენტების როლი“, ლექცია მ. ფ—ნისა. სხდომა მერვე.—გამოცემების და კრებულის კითხვა—ბერლინის და ჟენევის სტუდენტების მხრივ. ლეიპციგის სტუდენტობის წინადადება, კანონდებულების შესახებ. „რევოლუციის ფილოსოფია“,—ლექცია ხ. მალუმიანისა, ჟენევის უნივერსიტეტიდან. სხდომა მეცხრე—„კავშირის“ მოღვაწეობის პროგრამა მომავალში. სხდომა მეათე—მომავალის კრებისათვის ადგილის არჩევა. კომიტეტის არჩევა. არჩევა დამფუძნებელ კომისიისა. კრების დახურვა. საერთო ბაასი („მშაკ.“).

ქუთაისის ცხოვრება

თ. სამშე გელოვანის დასაფლავება ლეჩხუმში.—მათრახების მსხვერპლნი ლეჩხუმში.—ტრაღიკული ბოლო ერთის პედაგოგის ოჯახურ განხეთქილებისა.—გენერალ-გუბერნატორის განკარგულებანი.

ლეჩხუმიდან ჩამოსულებმა გვიამბეს, რომ იქ 12 აპრილს დაუსაფლავებიათ სვანეთში 6 აპრილს გარდაფხაძეების მიერ მოკლული თ-დი სამშე გელოვანი. დასაფლავებას 3000-დე კაცი დასწრებია. დიდ უმრავლესობას გლეხ-კაცობა შეადგენდა. ისინი გულ-დაწყვეტით სტიროდნენ ახალგაზდას, მათთვის გულშემატკივარ თავადს.

განსვენებულის კუბოს თორმეტი ლენტებიანი გვირგვინი ამკობდა, საამდროვო ზედ-წარწერით. სამი გვირგვინი ქუთაისის მუშებმა, ნოქრებმა და ამხანაგებმა უძღვნეს. დანარჩენები—სხვადასხვა სოფლებმა. ხალხი დიდ თანაგრძნობას უცხადებდა მშობლებს, განსაკუთრებით მის ძმას—იასონს, რომელიც ერთ მოწინავე თავადად ითვლება.

ამ საზიზღარ მკვლელობის გამო გლეხ-კაცობა და ბევრი თავად-აზნაურთაგანიც ძლიერ აღელვებულია. თ-დი გარდაფხაძეები ამ მღელვარებას უკვე დაუფთხია და ისინი თავიანთ საგვარეულო ციხეებში გახიზნულან, იქ სარჩო შეუტანიათ და ჩაძწყვდეულნი ცხოვრობენ; მათთვის რომ მთავრობის დახმარება მოესპოთ, ხალხს სვანეთში შესავალ გზებსა და წყლებზე ხიდები ჩაუნგრევია და ამნაირად ჩაუკეტიათ ისინი მამა-პაპურ ციხეებში. ჯარი ლეჩხუმის საზღვრებს ვერ გასცილებია. ვაი ის იქნება, თუ სვანებმა შური იძიეს და, უგუნურებთან ბრძოლაში, დაივიწყეს ის დიადი საქმე, რომელსაც თავი შესწირა ახალგაზდა თავადმა!

განსვენებულის კუბოზე ბევრი გრძნობიერი სიტყვა წარმოითქვა.

განსვენებულმა თავდა-პირველი სწავლა ქუთაისის გიმნაზიაში მიიღო, იქიდან იგი გადავიდა ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელში. ამ სასწავლებელში სწავლის დამთავრების შემდეგ იგი წავიდა რუსეთში. საერთო მოძრაობის დროს იგი კავკასიაში გამოგზავნეს და აქ სავსებით შეუდგა იმ ხალხის სამსახურს, რომელიც მას თავისს დღეში არ დაივიწყებს.

⁂

აი, რა გვიამბო ლეჩხუმიდანვე ჩამოსულმა ერთმა უდანაშაულო მსხვერპლთაგანმა: ლეჩხუმში სცდ. ილპანაზე გაუვლია რაჭაში მიმავალ კაზაკების ჯარს აფიცრის მეთაურობით. ამათ აქ დახვედრია ადგილობრივი ბოქაული, რომელსაც კაზაკების მეთაური ღვინოზე მიუპატიჟებია. სმის დროს აფიცერს აუხსნია ბოქაულისთვის, რომ მე დიდი უფლებებით ვარ აქ გამოგზავნილი: კაცის ჩამოხრჩობის ნებაც კი მაქვსო. ბოქაულს ძალიან გახარებია და ორი „მისი საბოქაულოს ამშფოთებელი“ კაცი დაუბარებია: ადგილობრივ სკოლის მასწავლებელი გ. შანიძე (იგივე მედავითნეა) და მწერლად ნამყოფი ს. ფრეიძე.

ამათ არ იცოდნენ, რისთვის იბარებდნენ, და გაცხადნენ ბოქაულთან. აქ მათ ბოქაულმა წააკლო ხელი და დაუწყო ცხვირ-პირში ცემა, მერე აფიცრის ბრძანებით შეათრიეს კაზაკებმა ოთახში, გადმოკეტეს კარები, გააწვინეს იატაკზე და ცემით სულ ჯანი გააგდებინეს. მათი გმინვა-ყვირილი ცასა სწვდებოდა. მაგრამ შველა ვერავინ გაბედა.

წამების შემდეგ იგინი უდანაშაულოდ იცნეს და გაანთავისუფლეს.

ამ დღეებში ერთი ამ უდანაშაულო მსხვერპლთაგანი—შანიძე, გუბერნატორს დაუბარებია და უთქვამს, დროებით მაინც ნუღარ წახვალ ლეჩხუმშიო, ხოლო სასულიერო მთავრობამ იგი მედავითნეობისგან დაითხოვა, რადგან კაზაკები ხელით შეეხებიანო! ჯილდოც ასეთი უნდა!

⁂

15 ამ თვეს ღამის 11 საათზე თეთრი ხიდიდან რიონში გადავარდა და თავი დაიხჩო სასულიერო სასწავლებლის რუსული ენის მასწავლებელმა ალექსი სოსინოვსკიმ. დამხჩვალი დღემდისაც ვერ უპოვნიათ. თავის დახჩობა ოჯახურ განხეთქილებას გამოუწვევია: ცოლთან იგი უკმაყოფილოდ ყოფილა, უკანასკნელ ხანებში ცოლი მას სულ განშორებია და თან ორი ვაჟიშვილიც უყვანია.

⁂

სამხედრო გენერალ-გუბერნატორმა თ-დ ორბელიანმა საალდგომოდ ზედიზედ ოთხი ახალი ფურცელი სავალდებულო დადგენილებისა გააკვრევინა ქუჩებში მკვიდრთა საყურადღებოდ. ერთ მათგანში ნათქვამია, რადგან ჩემდამო რწმუნებულ საგუბერნატოროში უწესოება არ მოისპო, იძულებული ვარ მკაცრ ზომებს მივმართოო: ამიტომ ყველა ის საქმეები, რომელნიც დღემდე 2 9,30, 31, 35 და სხ. მუხლების ძალით მომრიგებელ სასამართლოში ირჩეოდა, დღეიდან გადაეცემა ადგილობრივ გუბერნატორებსა და რიონის მხედრობის უფროსს გასარჩევადო.

მეორე სავალდებულო დადგენილება საალდგომო ფურცლისა ასე იწყობა: „რადგან ჩემ საგენერალ-გუბერნატოროში დღემდისაც არ ისპობა აღმაშფოთებელი შემთხვევები მოსამსახურე და კერძო პირების მკვლელობისა, ძარცვა-გლეჯა, ყაჩაღობა, დაწვა კერძო, მთავრობისა და საზოგადო დაწესებულებათა და აგრეთვე მითვისება კერძო საკუთრებისა, დღეიდან იძულებული ვარ მივიღო ენერგიული ზომები წინააღმდეგ იმ პირთა, რომელთაც დაუვიწყნიათ ღმერთი, პატიოსნება და სინიდისი. ამისათვის ამგვარ საქმეთა გარჩევასაც ჩვეულებრივ სასამართლოს წესით ვსპობ. ასეთი საქმეები სამხედრო სასამართლოს წესით იქმნება გარჩეული.

მესამე ფურცელი ეხება ქუჩებსა, სახლებსა და საზოგადო დაწესებულებებში თოფის ან რევოლვერის სროლას, რისთვისაც დამნაშავე 3000 მან., ან სამი თვით ციხეში დატუსაღებით დაისჯებაო.

მეოთხეში გუბერნატორი უხსნის თავიანთ მოვალეობას მეეტლე-მეურმეებს, რომელნიც ყოველთვის და განსაკუთრებით არეულობის დროს არა თუ ხელს უნდა უწყობდნენ პოლიციას დამნაშავეთა დაჭერაში, არამედ უნდა იფარავდნენ კიდეც მგზავრებს ბოროტ-გამზრახველთა თავდასხმისა და ძარცვა-გლეჯისაგან. ამაების დამრღვევთაც 3000 მ. ჯარიმა, ან სამი თვის ციხე მოელისო.

ის—არიძე.

რუსული პრესა და ეროვნული საკითხი

(რუსსკოე ბოგატსტვო, № 3).

აგერ მეორე წელიწადია, რომ რუსეთი, საშინელ ომში დამარცხებული, განვითარების გზას ადგია და მისი მდგომარეობა დღითი-დღე უფრო საძნელო ხდება.

მშვიდობიანობა და განახლებაო,—ამას მოითხოვს ყველა, მაგრამ როგორი მშვიდობიანობა სწყურია ყველას ან რა გვარი განახლებაა საჭირო?

სახელმწიფო წეს-წყობილების გამოცვლა, დიადი საზოგადო მოძრაობა, საუნივერსიტეტო ცხოვრების არევა, მუშათა კითხვა, სადგილ-მამულო არეულობა, წარმომადგენელთა მოწვევა,—ათასი საკითხი, ერთი მეორეზე უფრო რთული, ერთი მეორეზე უფრო ძნელი გადასაწყვეტი!

და ამ საკითხებთან ერთად ამართულია ეროვნული საკითხი, რომელიც ძალა-უნებურად უნდა გადაწყვიტოს როგორმე რუსეთმა.

პრესსა და საზოგადოება ცდილობს ეროვნულ საკითხის გარკვევას... მაგრამ, საუბედუროდ, მათ აქვთ წამოყენებული მხოლოდ ერთი პრინციპი—ეროვნული და სარწმუნოებრივი თანასწორობა და ივიწყებენ, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა ამ ორიოდე სიტყვით არ შეიძლება.

მხოლოდ თანდათან ირკვევენ, რომ სხვადასხვა ეროვნების დასაკმაყოფილებლად არის აუცილებლად საჭირო „კულტურულ და საპოლიტიკო თვით-გამორკვევის უფლება“.

ეს „თვით-გამორკვევა“ კულტურული და საპოლიტიკო—დედა-აზრია და ამ დედა-აზრს განხორციელება სჭირია უთუოდ.

როგორ უნდა მოეწყოს საქმე? როგორი უფლებები უნდა იყოს შემოღებული იქ, სადაც ერთად სცხოვრობენ რუსები და არა რუსები და იქ, სადაც არა რუსები ცალკე ტერიტორიაზე არიან დასახლებულნი, სადაც ისინი შეადგენენ მცხოვრებთა უმეტესობას?

რუსებთან ერთად, ერთ ტერიტორიაზე ცხოვრობენ ებრაელები და თათრები და სხვადასხვა მცირე ეროვნება, როგორიც არიან, მაგ., კარაიმები, მორდვა, ჩერემისები, კალმიკები, ბაშკირები და სხ. აქ ეროვნულ საკითხის გადასაწყვეტად საკმარისია ეროვნულ თანასწორობის გამოცხადება და ხალხსაც ეძლევა კულტურულ თვით-გამორკვევის უფლება. მართალია, ისეთი რთული საკითხი, როგორიც არის ებრაელების საქმე, მხოლოდ საპოლიტიკო თანასწორობის შემოღებით არ გადაწყდება,—აქ ეკონომიურ მხარესაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

ეროვნული საკითხი ადვილი გადასაწყვეტია იმ ეროვნებათა შესახებ, რომელნიც რუსებთან შერეულად ცხოვრობენ იმავე ტერიტორიაზე. მათ უნდა ჰქონდეთ მინიჭებული თანასწორი უფლება წარმომადგენელთა არჩევის საქმეში.

სულ სხვაა იმ ეროვნებათა მდგომარეობა, რომელთაც აქეთ საკუთარი ტერიტორია. ამათ შესახებ შეიძლება მოეწყოს საქმე ისე, რომ მათ მიენიჭებათ, უფლება გაჰგზავნონ თავიანთი წარმომადგენლები სრულიად-რუსეთის საერთო კრებაში, ან შეიძლება ამ უკანასკნელ კრებასთან ერთად იყოს მოწვეული სხვადასხვა ეროვნების ადგილობრივი კრებებიც,—პოლონელების, ქართველების, სომხების და სხ.

ეს უკანასკნელი წესი უფრო სამართლიანია და ამიტომ ყველასთვის უფრო მოსაწონიც.

ამ ცალკე კრებებში შემუშავებული პროგრამები შემდეგ ან მიწერ-მოწერით და მოლაპარაკებით შეეთანხმებოდა ერთმანეთს ან ერთ საერთო კრებაში, სადაც ყველა ავტონომიურ ერთეულს თავისი წარმომადგენელი ეყოლებოდა.

ს. იუჟაკოვი.

სადღეისო

„ბუნტოვჩიკი“

— ღვთის გულისთვის, მასწავლეთ, სად არის საოლქო სასამართლო?—მომაძახა ვიღამაც მიმავალს.

მოვიხედე—ჩემ წინ იდგა რაღაცა ადამიანის მგზავსი არსება. სახე გაერთიანებული ჰქონდა და ჩაშავებულ თვალებს სიმსივნისაგან ძლივსღა ახელდა; ყურებიდან სისხლი წვეთ-წვეთად გადმოსდიოდა; შიშველ ტანზე ძველი, დაფლეთილი ფარაჯა წამოესხა.

— ეს რა მოგსვლია?—დავეკითხე შეშინებული.

— მცემეს... მაწამეს...ამოიკვნესა საბრალომ.

— ვინა? რათა? რას გერჩოდნენ?—ვკითხე მე.

— აბა, რა ვიცი, ბატონო... სახლიდან ფურნეში პასკის ცომი მიგვქონდა. თავჩაღუნული მივდიოდი ჩემთვის... უცბად შემომესმა: „არ გაუშვათ!... დაიჭით, დაიჭით!... და გვერდით ვიღამაც გამირბინა... აბა, რა ვიცოდი, ვინ იყო... ან რა ჩემი საქმე იყო... ერთბაშად კისრეში ვიღამაც ისე ძლიერად წამკრა, რომ იქვე ჩავიკეცე და ჩემი თუნუქები ერთ საჟენზე გაგორდნენ... წამოდგომა დავაპირე—ზურგზე წიხლი დამიზილეს... „შენ ვერ გაიგონე ჩემი ძახილი?..- რატომ არ დაიჭირე ის „ბუნტოვჩიკი?“ შევხედე—თავზე მედგა უბნის ზედამხედველი და ორი პოლიციელი... „ბატონო, რა ჩემი საქმეა „ბუნტოვჩიკის“ დაჭერა?... ჩემთვის მივდივარ საქმეზე... ან რაღა მე მომივარდით, განა ჩემს გარდა აქ არავინ იყო, რომ დაეჭირა?—ვუპასუხე გაკვირვებულმა.—„ააა.. მაშ შენც „ბუნტოვჩიკი“ ყოფილხარ“-ო!.. მტაცეს ხელი და წამათრიეს... შემიკრეს ხელფეხი, დამაწვინეს და მცემეს... მაწამეს ...სამი კაცი მათრახით მცემდა, აი, ნახეთ, ბატონო... და ფარაჯა გაიძრო. ვერ გაარჩევდი, რა იყო—ადამიანის ტანი, თუ შავი, უსულო რამ საგანი. ცოცხალი ადგილი აღარ გააჩნდა, მათრახის ნაცემი ზურგზე ზოლზოლად გადაჰკროდა, ზოგან ხორცის ნაფლეთები ჩამოჰკიდებოდა და ზედ სისხლი შეხმობოდა...

უფროსთან საჩივლელად წავედი—გამომაგდეს... სამმართველოშიაც კისერში ორიოდ წამკრეს... ბოლოს რედაქციაში შევედი... იქ კეთილმა ხალხმა ეს მომცა“... გაშალა ხელი—ექვსი შაური ფული იყო და პატარა ქაღალდის ნაჭერი. „საოლქო სამმართველოს ბრალმდებელი“—წავიკითხე ქაღალდზე.

— ღვთის გულისათვის, ბატონო, მასწავლეთ გზა—საით წავიდე, ვის მივმართო?.. ვის ვაჩვენო ჩემი დაწყლულებული ტანი?—ძლივს თქვა და საბრალო წამებული დადუმდა. ყელში ბოღმა მოსწოლოდა, მაგრამ ვეღარ კი ტიროდა... ცრემლები გაშრობოდა... ცნობის მოყვარე ხალხი მოგროვდა; ყველას სახეზე მწუხარების ბეჭედი დასდებოდა... ზოგი მათგანი ამ უბედურის ტანჯვაში თავის თავსაც დამნაშავედ გრძნობდა... ზოგი კი ამ საზარელ სანახაობას დამშვიდებული შესცქეროდა. ის-კი, საბრალო, ყველას თვალებში მისჩერებოდა და, როგორც დაჭრილი პირუტყვი, მხოლოდ დუმილით-ღა შველას, თანაგრძნობას... ევედრებოდა.

მოვკიდე ხელი და სასამართლოსაკენ წავიყვანე. მინდოდა გამოვლაპარაკებოდი, მეკითხნა რამე, მაგრამ ვეღარ შევძელ... ზოგიერთი გულქვა, ზურგმთელი და მუცელ-მძღარი ვაჟბატონები ქუჩაში გზადაგზა დგებოდნენ, შეჰყურებდნენ წამებულის დალურჯებულ სახეს და ხითხითებდნენ... დასცინოდნენ მის დაფლეთილ ფარაჯას, შიშველსა და დასისხლიანებულს სხეულს. სასამართლოს კარებთან პოლიციელი იდგა.

— საით მიეთრევი?—დაიყვირა და გულზე ხელი ჰკრა.

— ამას უნდა ბრალმდებელი ნახოს... უცემნიათ... ვერ ხედავთ, რა საშინელი სანახავია?—ვუთხარი მე.

— შენ ვინა ხარ?... ვინ დაგნიშნა ამის მზრუნველად?.. ხომ არ გინდა ახლავე გიკრა თავი?.. მუქარით დამიყვირა.

— სად არის ღმერთი?.. ადამიანი სამართალს ეძებდეს და ეს ჩვარი, ქვეკაცი გზას უკრავდეს, აღარ უშვებდეს?!. გაბრაზებულმა წამოვიძახე. ჩვენდა ბედად მეორე ქუჩიდან სტვენა მოისმა.

— არ გაბედო შიგ შესვლა!.. უბრძანა იმას.—შენ კი,—მომიბრუნდა მე,—აქედან დაიკარგე, ნუ აჰყოლიხარ ამ მაწანწალას, თორემ უარესი დღე დაგადგება.—დაგვემუქრა და გაექანა იქითკენ, საიდანაც სტვენა ისმოდა. ჩვენ შევედით სასამართლოში... მივიყვანე კარებთან და ვუთხარი:

— აი, შედი ამ კარებში... არ შეგეშინდეს, ყველაფერი აუხსენი... მე აქვე დაგიცდი... თუ საჭირო ვიყო, დამიძახე.

—

გაიღო კარები და თავჩაღუნული ნელის ნაბიჯით გამოვიდა.

ლობას, დაქირავებულ აგრონომების ხელმძღვანელობით, აძლევს ხალხს შეძლებას, იყიდოს ხელმისაწდომ ფასად მრავალ-გვარი სამეურნეო იარაღი, გაჰყავს გზები და ზოგიერთ ალაგას ტელეფონებიც, და სხვა და სხვა. ერთის სიტყვით რომ ვთქვათ, ერობა ცდილობს დააკმაყოფილოს ხალხის მოთხოვნილება, როგორც სულიერი, ისე ნივთიერიც და მიზანსაც აღწევს,—რასაკვირველია, იმდენად, რამდენადაც ღონე შესწევს, და ადმინისტრაცია ხელს არ უშლის.

დაღესტნის ადმინისტრაცია შემდეგ საგნებზე ხარჯავს საერობო თანხას: 1. მთელ დაღესტანში არსებობს ხუთი ქსენონი, სადაც არი თითოთითო ექიმი და ბებია-ქალი და ორ-ორი ფერშალი. ამ ხუთმა ექიმმა უნდა იზრუნოს 650,000 მცხოვრებთა ჯანმრთელობისათვის, რომელნიც გაბნეულნი არიან 3970 ოთხკუთხ ვერსის სივრცეზე. ესე იგი, თითო ექიმმა უნდა მოუაროს შუათანად 130,000 მცხოვრებთ, დასახლებულთ 800 ოთხ-კუთხ ვერსის სივრცეზე! მათი ვალდებულება არის რჩევა-დარიგების მიცემა და წამლების უფასოდ დარიგება, რისთვისაც ყველა ექიმებს ერთად ჰქონიათ 1385 მან. 43 კ. (!) 1901 წლის განმავლობაში და 1607 მან. (!) 1903 წელში. ნუ თუ ამას ჰქვია ხალხის ჯანმრთელობაზე ზრუნვა!?... 2. შემდეგ სახალხო საჭიროებას, რომელზედაც იხარჯება საერობო თანხა, შეადგენს გზები. მთელ დაღესტანში 1901 და 1903 წ.წ. განმავლობაში საერობო ხარჯით ინახებოდა 135,5 ვერსი გზა, რომლის მოვლა-შენახვაზე 1901 წ. დახარჯულა 12,166 მან. და 1903 წ. 15,200 მან. ახალი გზები არ უკეთებიათ.

ამით თავდება საერობო თანხის დახმარება მცხოვრებთა საჭიროების დასაკმაყოფილებლად! ნუ თუ ამის მეტი შეიძლება არაფერი გაკეთდეს იმ 117,000 მან., რომელიც ყოველ წლობით იკრიბება?!

დასასრულ, აღვნიშნოთ ის ხარჯები, რომელთაც ხაზინა ეწევა ხალხის საჭიროებათა დასაკმაყოფილებად. ცოტად თუ ბევრად ასეთ ხარჯებად უნდა ჩაითვალოს საოლქო ექიმებზე გაწეული ხარჯები. ყოველ ოლქში არის თითო ექიმი დამასთან ორი ფერშალი, რომელთა დანიშნულება არის სანიტარულ-პოლიციური, ე. ი. მათ მოვალეობას შეადგენს, ადმინისტრაციისაგან ცნობის მიღებისთანავე გაემართონ იმ რაიონში, სადაც რომელიმე გადამდები სენი მძინვარებს, და მიიღონ „სასტიკი და დაუყონებლივი“ ზომები სენის მოსასპობად. მაგრამ ამ ზომების მისაღებად არავითარი საშუალება არა აქვთ. ამიტომ ექიმი მხოლოდ ამგვარ ქაღალდს სწერს ადმინისტრაციას თავის ბინაზე დაბრუნების შემდეგ: თანახმად თქვენი განკარგულებისა, მივიღე ყოველივე ჩემგან დამოკიდებული ზომები, ე. ი. არაფერიც არ გამიკეთებია, ვინაიდან არავითარი საშუალება არა მაქვს სენის მოსასპობადო. მორჩა და გათავდა. ამნაირად, ხალხს თუ მართლა უბედურება ეწვია და რაიმე გადამდები სენი მოედო, მანამდის ავლებს მუსრს, სანამდის თავისით არ შემცირდება და არ შეწყდება. ამავე ექიმებს ეძლევა ყველას ერთად (9 ექიმია) 2000 მან. ეგრედ-წოდებულ საჯარიმო თანხიდან, რომლითაც მათ უნდა იყიდონ წამლები და აძლიონ ავადმყოფებს.

სახელმწიფო ხარჯითვე ინახება 431,5 ვერსი შარა-გზა, რომლის შენახვა-შეკეთებაზე 1901 წელს დახარჯულა 93,778 მან. და 1903 წ. 127,760 მან. არ შეგვიძლია არ შევნიშნოთ, რომ ძალიან ძვირად დაჯდომია ხაზინას ამ გზების მოვლა... მგონი, ამდენი თანხით მომჭირნე პატრონი რკინის გზასაც შეინახავდა...

1903 წლიდგან დაღესტანში მოქმედობს 18 საოლქო ბეითალი და მათთან 36 ფერშალი, რომელთა მოვალეობას შეადგენს საქონლის დაცვა სხვადასხვა გადამდებ სენისაგან. დაღესტნისთვის საბეითალო ნაწილის მოწესრიგებას დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდგან, თუ დაღესტნელი კიდევ სულს ღაფავს, ამაში დიდი წილი უდევს საქონლის მოვლა-მოშენებით აღებულ შემოსავალს.

ჩვენ ვეცადეთ მიუკერძებლად აგვენიშნა ყველა ის ზომები, რომელთაც მთავრობა ხმარობს ხალხის ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად, მაგრამ ზემოდ ჩამოთვლილს გარდა ვერაფერი ვიპოვეთ.

შემდეგ წერილში გავაცნობთ მკითხველს სწავლა-განათლების საქმის ვითარებას.

დროებით დაღესტნელი.

— რა ჰქენი?—ვკითხე მე.

— გამომაგდეს,—სთქვა მან და თვალებიდან ცრემლები გადმოცვივდა.—სად არი ღმერთი... სად არის სამართალი .. ვინ არის ჩვენი შემბრალე?—დაიკვნესა უბედურმა და ღონე მიხდილი იქვე დაეცა.

— ნუ გეშინიან, საბრალო, გამხნევდი!—ძლივს წავილუღლუღე მე,— მოვა დრო და შენც გიცნობენ ადამიანად...

— როდის!.. როდის!!.—სასოწარკვეთილებით დაიყვირა.

ამის პასუხი კი ვეღარ მივეცი... ცრემლები ყელში მომაწვა, ხმას ვეღარ ვიღებდი.

გაბეცებული ვიდექ ქუჩაში და უაზროდ გავიყურებოდი. ხალხი ბუზივით ირეოდა. პოლიციელები ეჭვის თვალით უყურებდნენ ყველას. და კაშკაშა მზე—ეს დიდებული მნათობიც კი—გულგრილად დანათოდა ნაცემ-ნაბეგვ ადამიანს!..

ვალიკო გურული.

სამართლიანობა.

რომელისამე პრინციპის დამახინჯება მის პირდაპირ უარის ყოფაზე უარესია.

პრინციპის დამახინჯებით სცდილობს ზოგიერთი შეუძლებლად გაიხადოს მისი განხორციელება, სიტყვით პრინციპის მომხრე გამოვიდეს და საქმით კი მისი ხელის შემშლელი და მოსისხლე მტერი.

ახლაც, როდესაც ხალხის წარმომადგენლობაზე ლაპარაკობს ყველა, ზოგიერთები სცდილობენ მის მაგიერად შემოადებინონ საერობო კრება, წოდებრივ საფუძველზე აშენებული,—კრება, რომელშიაც მონაწილეობის უფლება ექნება მინიჭებული მხოლოდ ნამდვილ რუსებს, შიდარუსეთის მცხოვრებლებს.

ამნაირ საერობო კრებას ემხრობა თვით გაზ. „ნოვოე ვრემია“-ც,—და ამტკიცებს არა-რუსებს არ უნდა ჰქონდეს მონაწილეობა რუსეთის მართვასა და გამგეობაშიო.

ხალხის წარმომადგენლობა კანონმდებლობისა და მართვა-გამგეობის საქმეში მხოლოდ ორნაირად არის შესაძლო: ან საყოველთაო საარჩევნო უფლების მინიჭებით, ან ცენზის შემოღებით.

ყველას, ვინც იხდის გადასახადს (და მას ხომ ამა თუ იმ სახით უკანასკნელი უმიწაწყლო ღარიბიც იხდის), უნდა ჰქონდეს მინიჭებული საარჩევნო უფლება.

ეს პრინციპი ცხადი და ყველასათვის ადვილი გასაგებია.

ცხადია, მაგრამ განზრახ სცდილობენ ამ პრინციპის დამახინჯებას, ისტორიას ეპოტინებიან იქ, სადაც საისტორიო უფლება სახსენებელიც არ არის. ამბობენ, რუსეთი შექმნეს რუსებმა და ამიტომ რუსებს უნდა შერჩეთ ბატონობაო რუსეთში.

მეფე მიხეილ თეოდორეს ძე აირჩიეს მეფედ რუსებმა,—ამბობს გაზ. „ნოვოე ვრემია“, ამიტომ რუსეთში მცხოვრებ უცხო ტომელს არა აქვთ უფლება გაერიოს რუსეთის მართვასა და გამგეობაშიო.

მაგრამ ასეთი შეხედულება ყალბია.

მიხეილ თეოდორეს ძის არჩევაში იღებდნენ მონაწილეობას ყაზანის, ასტრახანის და ციმბირის მხარენი და, პირიქით, მონაწილეობას არ იღებდნენ ნოვგოროდი, სმოლენსკი და ტვერი.

ესე იგი, იმ დროს, როდესაც ირჩევდნენ ახლანდელ სამეფო გვარეულობის პირველ წარმომადგენელს, ამ არჩევანში არა-რუსებსაც ჰქონდათ მინიჭებული თანასწორი უფლება.

ან რა საჭიროა ისტორიის ხსენება, რა საჭიროა იმის ჩამოთვლა, თუ რომელ მხარეს ჰქონია წინად მინაჭებული საპოლიტიკო უფლება რუსეთში, რა საჭიროა ამ საისტორიო ცნობებზე დავამყაროთ მომავალი წეს-წყობილება.

მეფე მიხეილის ხელ ქვევით არ ყოფილა პოლონეთი, მალოროსები, ნოვოროსია და ყირიმი. მის ქვეშევრდომებათ არ ყოფილან ბელორუსები და რუსეთის დასავლეთი ნაწილი. თავისუფალი იყო იმ დროს საქართველოც, რომელიც თავის ნებით შეუერთდა შემდეგში რუსეთს. პოლონეთსაც 1831 წლამდის ჰქონდა თავისი საკუთარი წყობილება და მას შემდეგ კი პოლონელები რუსებთან ერთად იღებდნენ მონაწილეობას რუსეთის შინაურ მოწყობასა და გამგეობაში.

განა ნამდვილ რუსებად ჩაითვლებიან ისეთი პირები, როგორიც არის, მაგალითად, ლორის-მელიქოვი, გურკო, სვიატოპოლკ-მირსკი, ვიტტე, ლინევიჩი, სტესელი, ფრიში ან გერარდი?

ცხადია, რომ არავითარი საფუძველი არა აქვს იმ შეხედულებას, ვითომც რუსეთის ზოგიერთ ნაწილს არ უნდა ჰქონდეს მონაწილეობა დამფუძნებელ კრებაში, ვითომც რუსეთის ბატონები იყვნენ მხოლოდ ნამდვილი რუსები, შიდა-გუბერნიების მცხოვრები?

განგებ გადამახინჯებული შეხედულებაა, მოგონილი იმისთვის, რომ გაძნელდეს სამართლიან წეს-წყობილების შემოღება რუსეთში.

რუსეთის ყველა ნაწილს უნდა ჰქონდეს მინიჭებული თანასწორი საპოლიტიკო უფლება.

უთანასწორობა, უსამართლობა, ერთმანეთზე გაბატონება მის შემქნელ ბიუროკრატიულ წყობილებასთან ერთად უთუოდ უნდა მოისპოს.

(„ნოვოსტი“ № 89). ლ პოლონსკი.

პრესსა

უცნაურ პროტესტს მიმართეს ფინლიანდელებმა: სეიმის კომისიამ გადასწყვიტა, რომ ფინლიანდიის ხაზინამ უნდა უზღოს ზარალი და დააჯილდოვოს ყველა:

1) ვინც იყო იძულებული დროებით განშორებოდა ფინლიანდიას. ისინი, ვინც შიდა რუსეთში იყო გადასახლებული, უნდა დააჯილდოვოს ხაზინამ იმიტომ, რომ ისინი იყვნენ იძულებული ეცხოვრათ უცხო მხარეში.

2) ვინც ყოფილა დატუსაღებული საპოლიტიკო საქმეების გამო. ამათ უნდა დავეხმაროთ იმიტომ, რომ „უსამართლოდ“ არიან დასჯილნი, რომ ისინი შეიქმნენ «ძალმომრეობის მსხვერპლი».

3) ვინც შეიქმნა იძულებული დაენებებინა თავი სახელმწიფო ან საზოგადო სამსახურისთვის.

4) ვინც ყოფილა რუსის მთავრობისაგან დაჯარიმებული მის «უკანონო» განკარგულებათა აუსრულებლობის გამო.

ეს ცნობა მოყვანილია გაზ. „მოსკოვსკია ვედომოსტში“, რომელიც სჩივის, რუსი რევოლუციონერებიც ახლა მოითხოვენ ზარალის გადახდას და ჯილდოს იმ ყუმბარებისთვის და იარაღისთვის, რომელსაც მათ ჩამოართმევს პოლიციაო.

ამავე გაზეთს მოჰყავს ფინლიანდელების აზრი რუსების შესახებ: „რუსები ისეთი ხალხია, რომ სხვებთან თანასწორობა არ შეუძლიანთ ან უნდა იბატონონ ან მონებად იქნენ. ამიტომ თუ გვინდა ჩვენზე არ გაბატონდნენ, უნდა ვეცადოთ უთუოდ და შევაშინოთ, დავიმორჩილოთ შიშით და მაშინ თვით რუსები შეიქნებიან ჩვენი მორჩილი და ჩვენი სურვილების აღმასრულებელიო.

რუსეთი

◆ 11 აპრილს პეტერბურგში მოხდა კრება რუსეთის აღმდგენელთა საზოგადოებისა. საზოგადოებას მიზნად აქვს 18 თებერვლის რესკრიპტის განხორციელება და **ტერორისტებთან ბრძოლა** (რ.).

◆ „ბერლ. ტაგ.“-ის სიტყვით, ვარშავის გენერალ-გუბერნატორი ძალიან ესარჩლებოდა პოლონელთა სამართლიან მოთხოვნილებას, მაგრამ, რადგან რუსეთის **მთავრობამ პოლონელებს თითქმის არაფერი დაუთმო**, ამიტომ მაქსიმოვიჩი პეტერბურგში წავიდა და სამსახურიდან დათხოვა ითხოვაო (რ. ვ.).

◆ ვინმე ვექილი ლუცენსკი ტამბოვში მოსწავლეთა აკლების დროს „**შავ რაზმს“ წინამძღოლობას უწევდა**. ამის გამო ლუცენსკი მთავრობამ სამსახურიდან დაითხოვა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ იმავე ლუცენსკის ტამბოვის საგუბერნიო სამართველოში უფრო კარგი ადგილი მისცა (რ. ვ.).

◆ პეტერბურგში საქალაქო და საერობო თვითმმართველობის მოღვაწენი შეერთდნენ და **საერთო პოლიტიკური კლუბი დააარსეს**. კლუბის წევრები უმეტეს ნაწილად უკიდურესი ლიბერალები და ზომიერი რადიკალები არიან (რ.ვ.).

◆ ვიტებსკში ხმა გავრცელდა, სახელმწიფო ბანკი **ქაღალდის ფულს ოქროზე აღარ ახურდავებსო**. შემდეგ ეს ხმა გამართლდა. ვინმე ს.ს ბანკში 4000 მანათის ქაღალდის ფული მიუტანია და დახურდავება უთხოვია, მაგრამ ბევრი ჩხუბისა და ყვირილის შემდეგ ბანკმა მხოლოდ 2 ათასი მანათი დაუხურდავა, დანარჩენი 2 ათასი მანათი კი უკანვე დაუბრუნა.

იმავე დღეს ერთ სტუდენტსაც მოუნდომია 500 მან. დახურდავება, მაგრამ 500 მანათის მაგივრად მხოლოდ 200 მანათის ოქრო მიუციათ. მეორე დღეს ფ—საც მიუტანია 800 მანათი, მაგრამ სამი დღის ჩხუბისა და ყვირილის შემდეგ მხოლოდ 300 მანათის ოქრო მისცეს. ყველას, ვისაც კი ქაღალდის ფულის ოქროს ფულზე უნდა დახურდავება, ბანკის მოხელეები პოლიციითა და დვორნიკებით ემუქრებიან და თავს რაღაც საიდუმლო ცირკულიარით მართლულობენ (რ. ვ.).

◆ ამ დღეებში ოდესაში დაიბეჭდა და **გასასყიდად გამოვიდა კაუცკის წიგნი—„კარლ მარქსის ეკონომიური მოძღვრება“**. ამ წიგნში მდაბიურად არის ახსნილი მარქსის მთელი ეკონომიური მოძღვრება და მხოლოდ 75 კაპ. ღირს, მარქსის თხზულება კი უფრო ძნელი გასაგებია და ძვირიც არის. ცხადია, რომ ხალხში ეს წიგნი უფრო გავრცელდებოდა, ვიდრე მარქსის თხზულება, და სწორედ ამიტომაც ზოგიერთ ქალაქის ადმინისტრაციამ ეს მშვენიერი და ყველასთვის ხელმისაწვდომი წიგნი დააპატიმრა და გაყიდვის ნება არ მისცა (ს. ო.).

◆ პეტერბურგის საქალაქო სტატისტიკურმა ბიურომ პეტერბურგელ ბავშვთა სიკვდილის სტატისტიკა შეადგინა. **სტატისტიკაში განსაცვიფრებელი ციფრებია მოყვანილი**: 1904 წ. 1000 დაბადებულ ბავშვიდან იმავე წელს 250 ბავშვი (25%) გადაიცვალა. ამ სტატისტიკაში არ შედიან აღმზრდელ სახლის ბავშვები, რომელთაც ყოველ წელს ათასობით გზავნიან სოფელში. ეს ფრიად სამწუხარო მოვლენა მხოლოდ იმით უნდა აიხსნას, რომ მთავრობა, ქალაქი და საზოგადოება ბავშვებისთვის სრულიად არ ზრუნავენ.

◆ ომის გამო პოლონეთში ბევრი ქარხანა და სამრეწველო დაწესებულება დაიკეტა, რის გამოც **ათასი მუშა ულუკმა-პუროდ დარჩა** და თავის გამოსაკვებად ქალაქებში გაიფანტა. ვარშავის განაპირა ადგილებში სიარული და ცხოვრება საშიშია. ოფიციალურ ცნობით ვარშავის ერთ გზაზე მგზავრებს მარტში 63-ჯერ დაეცნენ და გაძარცვეს. მათ შორის 3 მოკლეს, 15 მძიმედ დასჭრეს და 45-ც მსუბუქად (ვ. დ.).

◆ 5 აპრილს ლიბავაში ერთ ჟანდარმსა და უნტერ-აფიცერს ციხეში მიჰყავდათ ერთი ახალგაზრდა ინტელიგენტი, რომელიც წინა დღით **სარევოლუციო პროკლამაციებს არიგებდა**. როცა ჟანდარმები და პატიმარი ცოტა ჩამობნელებულ ქუჩაში შევიდნენ, ქუჩის ორივე მხრიდან ჟანდარმებს რევოლვერების სროლა დაუწყეს. ჟანდარმებმა პასუხი ვერ გასცეს, რადგან პატიმარს იჭერდნენ, რომელიც ურმიდან გადმოხტომას ლამობდა.

ბოლოს გადმოხტა კიდევაც და გაიქცა. უკან ჟანდარმი გამოეკიდა, მაგრამ რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ წაიქცა. პატიმარი და იმის მშველელნი მიიმალნენ. უნტერ-აფიცერი მსუბუქად დაიჭრა, ჟანდარმი კი ორი საათის შემდეგ ჭრილობისაგან დარდაიცვალა (ნ.).

◆ აღდგომის წინა დღეებში პეტერბურგში ხმა გავრცელდა, აღდგომა დღეს 15 **ათასი „ხულიგანი“ ინტელიგენციას ამოჟლეტავსო**. ამბობდნენ, ხულიგანები კორპუსებად არიან დაყოფილი, კორპუსები—როტებად და სხ. როტებსა და კორპუსებს თავისი უფროსები ჰყავთო. ამ ხმამ ისეთი შიშის ზარი დასცა პეტერბურგს, რომ აღდგომის წინა დღეებში ბევრმა თავი დაანება პეტერბურგს და პროვინციაში გაიპარა. აღდგომის წინა დღეებში პეტერბურგში მეორე ხმა გავრცელდა: მუშებმა გადასწყვიტეს, თუ ხულიგანებმა მართლა ხელი გამოიღეს და ინტელიგენციას ავნეს რამე, ჩვენც ინტელიგენციას მივეშველებით და ხულიგანებს ცუდ დღეს დავაყრითო. აღდგომა დღეს პეტერბურგში მშვიდობიანად ჩაუვლია (რ. ვ.).

◆ „მოსკ. ვედ.“-ის სადღაც სამი გლეხი გამოსძებნა და წამდაუწუმ წერილებს აბეჭვდინებს. ამ წერილებში სამი გლეხი მთელ რუსეთის გლეხობის სახელით აცხადებს, ახალი არაფერი გვინდა, ინტელიგენცია, აგიტატორები და ლიბერალები გვძულს და, თუ საქმე გააჭირეს, ამოვჟლეტავთ კიდეცაო. ამ გლეხების საპასუხოდ იმავე სოფლის გლეხებმა, სადაც ზემოხსენებული სამი გლეხი ცხოვრობს, „რუს. ვედ.“-ში **შემდეგი წერილი დაბეჭდეს**: „მოსკ. ვედ.“-ში ჩვენი სოფლის სამი გლეხის წერილი იყო დაბეჭდილი. ეს გლეხები მთელი სოფლის სახელობით ლაპარაკობდნენ. ამ წერილის სიცრუემ გაგვაკვირვა. ეს გლეხები ინტელიგენციას ემუქრებოდნენ, ჩვენის აზრით კი, ინტელიგენციის პატივსცემა და უანგარო შრომა ექვს გარეშეა და უინტელიგენციოთ ცხოვრება ისევე შეუძლებელია, როგორც უპუროდ. ვინ მუშაობს ერობაში ჩვენთვის, გლეხებისთვის? ვინ შრომობს ომში და ვინ უამდვილებს ათას დაჭრილს ტკივილსა და ტანჯვას? ვინ ზრუნავს ჩვენთვის ერობასა, საავადმყოფოებსა და სკოლებში?—ინტელიგენცია და მხოლოდ ინტელიგენცია. ჩვენ მოუთმენლად ველით იმ დღეს, როცა რუსეთში რეფორმები მოხდება და როცა ყველა ინტელიგენტს ჩვენი განათლების უფლება მიეცემა. ისიც გავიგეთ, რომ კრებებში ინტელიგენტები ჩვენი, გლეხების, გაჭირებაზე ლაპარაკობდნენ. ჩვენი სკოლების პროგრამა იმდენად სუსტი და უმნიშვნელოა, რომ ამ სკოლებისა აღარაფერი გვწამს. მიწაც გვაკლია, გზებიც, განათლებაც და ვინ იცის, რა გაჭირვებას არ ვიტანთ, მაგრამ ამათზე ლაპარაკი ამ წერილში მოუხერხებელია. ჩვენ უფრო იმან აგვაშფოთა, რომ იმ გლეხებმა ჩვენდა დაუკითხავად ჩვენი სახელით წერილი დაბეჭდეს. ისიც გავიგეთ, რომ აღდგომის შემდეგ მოსკოვში კრება მოხდება, სადაც ჩვენ საქმეებზე უნდა ილაპარაკონ. ამ კრებაზე გლეხების წარმომადგენლად ვიღაც გორბაჩოვი დანიშნეს. ჩვენ ვაცხადებთ, რომ ეგ ვიღაც გორბაჩოვი, რომელმაც „მოსკ. ვედ.“-ში ჩვენზე სისულელე დაწერა, ჩვენი წარმომადგენელი არ არის. როდის დადგება ის დრო, როცა ჩვენ, გლეხებსაც, ცხოვრების ისეთივე ნება გვექნება, როგორც სხვებს.

ამ წერილზე 82 გლეხი აწერს ხელს (რ. ვ.).

იმერეთის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება.

10 აპრილს კრება არ შესდგა, ვინაიდან თავად-აზნაურობამ არ მოისურვა, რომ კრებას დასწრებოდა იმდენივე ხალხი, როგორც უკანასკნელ კრებაზე. ბოლოს გადასწყვიტეს შეგროვილიყვნენ ისევე ორშაბათს და გარეშე ხალხი ბილეთებით შემოეშვათ დარბაზში. ვერ გასჭრა კრებაზე ზოგიერთების საყვედურმაც,—როგორ გინდათ შეურიგდეთ სოფლელებს, თუ აქ, ამ ორას კაცში გეშინიანთ თავისუფალი ლაპარაკიო. ზოგიერთი თავად-აზნაური, განსაკუთრებით შორაპნის მაზრისა, მაინც არ იშლიდა თავისას, სერთუკოსნებს ემუქრებოდა,—თქვენ აგვირიეთ მონასტერიო.

11 აპრილს კრებაზე წაიკითხა ვრცელი მოხსენება თანამედროვე მდგომარეობის შესახებ ბ-ნმა ილია ჩიქოვანმა, რომელიც დიდის ტაშის ცემით დააჯილდოვა დამსწრე საზოგადოებამ.

ილაპარაკეს აგრეთვე ბ-ნთ ნიკო თავდგირიძემ, კალ. ჩიკვაიძემ, სილ. ხუნდაძემ და სხვებმაც.

ბ-ნი ნიკო თავდგირიძე ამტკიცებდა, რომ თანამედროვე მდგომარეობის მთავარი მიზეზი ის ყოვლად უვარგისი წყობილებაა, რომელიც ყველას თანასწორად გვაწუხებს. ამ წყობილების ძალით დღემდის სწამდა თავად-აზნაურობას, მის წინაშე ქედს იხრიდა იგი, მის მეოხებით სცდილობდა ხალხში გაბატონებას.

„არის ისეთი დრო, როდესაც მოქალაქობრივი გაბედულება მოსაწონი და სავალდებულოა. როგორც ფლიდი და მხდალი ადამიანი ეჯავრება ყველას, ისევე საზიზღარია ის საზოგადოებაც, რომელიც თავის არსებით საჭიროებათა გამოსახატავად ყალბ საშუალებებს მიმართავს ხოლმე. არსებული წყობილება, აგერ რამდენი ხანია, ძირს უთხრის ხალხის განვითარებას... ეს იგრძნო ამ ჟამად რუსეთში ყოველმა შეგნებულმა ადამიანმა და ნუ თუ ჩამოვრჩებით ამ მოძრაობას ჩვენ, ქართველები, როდესაც ჩვენთვის ეს მოძრაობა „ყოფნა არ ყოფნის“ მომასწავებელია ამჟამად? არა, მთელი ჩვენი ძალღონე უნდა შევწიროთ დასახულ მიზნის მიღწევას.

რამ შექმნა ახლანდელი გაჭირება სოფლებში?—არსებულმა წყობილებამ, იმ ბიუროკრატიამ, რომელსაც აზიელის ერთგულობით ემსახურებოდით. ასი წლის განმავლობაში, რაღაც მომატყუებელ ლუკმასავით, გადმოგვგდებდნენ ხან ერთ უპირატესობას, ხან კიდევ მეორეს.

„საჩინოვნიკო ასპარეზი“ გაუხსნეს თავად-აზნაურობას. თავად-აზნაურობა ჩინოვნიკობას დაადგა და ისეთივე საზარელი შეიქნა ხალხის თვალში, როგორც ყოველი ჩინოვნიკი, და ამით დაშორდა ხალხის უმეტესობას.

ერთად ერთი ხსნა,—ახალ წყობილების ჩამოგდებაა,—შემდეგში მაინც არ უნდა ჩაიდინოს ის შეცდომა, რომელიც ერთხელვე ჩაუდენია,—ჩვენი ხსნა ადგილობრივ წარმომადგენელთა განსაკუთრებული კრებაა. ასი წლის განმავლობაში საქართველოს შესახები ყოველი კანონი იწერებოდა შორს, უცხო ქვეყანაში, სადაც არ იციოდნენ ხოლმე საქართველოს ნამდვილი საჭიროება; არ იციოდნენ ჩვენი ზნე-ჩვეულება და ამიტომაც ყოველი კანონი ჩვენ ცხოვრებასთან შეუფერებელი გამოდიოდა.

ახლაც შეიძლება დამყარდეს რუსეთში ახალი წეს-წყობილება, წარმომადგენელთა უფლებაზე დამყარებული. შეიძლება, ამ წარმომადგენლებში ჩვენი ქვეყნის შვილებიც ერივნენ, მაგრამ საფიქრებელია, რომ მაშინაც ჩვენი მდგომარეობა არ შეიცვლება,—რაც უნდა განათლებული იყოს რუსი, მას მაინც უძნელდება სხვა ერის ყოველივე თვისების შესწავლა. ერთად-ერთი საშუალება იმისთვის, რომ ბუნებრივ კალაპოტში ჩადგეს ხალხის განვითარება, ის არის, რომ მოგვეცეს **ავტონომია**.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

20 აპრილი.

პეტერბურგი. ოფიციალური ცნობა შორეულ აღმოსავლეთიდან 19 აპრილს არ მოსულა.

ლონდონი. რუსეთის მთავრობა ეხლახან სცდილობდა 100,000 ტონი ნახშირი დაექირავა და ვლადივოსტოკში გაეგზავნა ბალტიის ესკადრისთვის. გემის პატრონებმა არ იკისრეს, რადგან მარტო დაზღვევა 70% ჯდება, და ითხოვეს, რუსეთმა გვიზღოს მთლად ზარალი და გემების ღირებული, თუ რომ იაპონელებმა შეიპყრესო.

ტოკიო. ჰფიქრობენ, რუსებს განზრახვა აქვთ ესკადრა ვლადივოსტოკში ჩავიდეს, იაპონიის ფლოტი თავის ბაზას დააშოროს და სამშვიდობო მოლაპარაკებას უცადოს, რომელიც ფლოტის დემონსტრაციამ უნდა გამოიწვიოს.

გუნჯულინი (საკუთ. კორესპ.). ამბობენ, იაპონელები პატარ პატარა რაზმებად მონგოლიით ჩრდილოეთისკენ მიდიანო. გუშინ ხმა გავრცელდა, 40,000 იაპონელი მონგოლიის საზღვარს მიუახლოვდაო. მდინარე ლიაოხეს აყოლებაზე ხუნხუზების რაზმებია. ჩინეთის ნეიტრალიტეტი, რასაკვირველია, იმათ ხელს ვერ შეუშლის. იაპონელების სიჩუმე ცუდს რამეს უნდა მოასწავებდეს. ამბობენ, ფლოტის მოქმედებას უცდიანო.

პარიზი. იაპონიის მომხრე დიპლომატებიც კი ყურადღებას აღარ აქცევენ იაპონიის პროტესტს ნეიტრალიტეტის დარღვევის გამო ინდოჩინეთში, რადგან დარწმუნებულნი არიან, რომ საფრანგეთი რუსის ესკადრის წინააღმდეგ ვერ იმოქმედებსო.

ჰონკონგი. ორი პოლკი, რომელიც გემებით ინდოკეთში უნდა დაბრუნებულიყო, გემებიდან ისევ გადმოსხეს და აქ დააბანაკეს.

საიგონი. „დეილი მეილის“ კორესპონდენტმა ინდო-ჩინეთის გენერალ-გუბერნატორს პროტესტი განუცხადა იმ დეპეშების ცენზურის გამო, რომლებიც ბალტიის ესკადრის კამრანში ყოფნას შეეხებოდა. იუწყებიან, ესკადრა კამრანის ჩრდილოეთად არის 60 ვერსის მანძილზეო.

ტოკიო. გაზეთები ამბობენ, სამშვიდობო მოლაპარაკება არ დაიწყება, თუ რომ რუსეთი პირდაპირ იაპონიას არ მიმართავსო. იაპონია იბრძოლებსმხნედ და დაუღალავადო.

მინჯავაძი, 14 აპრილი. ღამის 60 იაპონელი და 20 ხუნხუზი ხიდს დაეცნენ მუკდენთან და დანგრევა უნდოდათ, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ. ჩანტუხკუს ჩრდილო-დასავლეთად იაპონელები მაღლობზე საფარებს აკეთებენ.

ჩერნიგოვი. ჩერნიგოვის პოლიცმეისტერს დილის 10 საათზე სამჯერ ესროლეს რევოლვერი, მაგრამ ვერ მოარტყეს. ერთი დააპატიმრეს, ხოლო ის უარ-ჰყოფს, მე არ მისროლიაო.

კანეა. პრინცმა გიორგიმ განაცხადა, კუნძული საბერძნეთს ვერ შეუერთდებაო, და თვითონ იკისრა მცხოვრებთა დამშვიდება. საბერძნეთის დროშა ჩამოხსნეს.

პარიზი. შეერთებულ შტატების ელჩმა უთხრა რესპუბლიკის პრეზიდენტს, მთელ საუკუნის განმავლობაში საფრანგეთ-ამერიკის ურთიერთი განწყობილება მტერობით არ დაჩრდილულა და უფრო მტკიცე ვიდრე ხელშეკრულობაო. ლუბემ უპასუხა, ფრანგები ამაყობენ, რომ იმათ მონაწილეობა მიიღეს პირველ ბრძოლაში უძლიერეს ამერიკელ ერის თავისუფლებისთვის. საერთო მისწრაფება და პრინციპები უფრო უახლოვებენ ერთმანეთს ორს უდიდეს რესპუბლიკასო.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

გამოსადეგი ცნობანი

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტატეოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა.

თვალის სამკურნალო. კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისის ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ელემიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში,
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილით 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 113.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. „ 5—8

განცხადებანი

ტფილისის გუბერნატორის ნებართვით, ქალაქის საბჭოს დარბაზში გაიმართება

კრებები ტფილისის ხელოსნებისა

თავიანთ საჭიროებაზე მოსალაპარაკებლად, 22 აპრილს—კალატოზებისა, 23 აპრილს—დურგლებისა და 25 აპრილს—მღებავებისა. კრება დაიწყება დილის 10 საათზე. დარბაზში შესასვლელი ველიამინოვის ქუჩიდან. (2—1).

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამა წლის 25 აპრილს, შუადღის 12 საათზე, **დანიშნულია საჯარო ვაჭრობა** ქალაქის ადგილის იჯარით გასაცემად, ზომით 600 ოთხ-კ. საჟ.; ეს ადგილი იმყოფება ქალაქ ტფილისში, პოლიციის მე-10 განყოფილებაში, ტფილისის დამოენის საწყობის პირდაპირ. პირობების განხილვა მსურველთ შეუძლიანთ ყოველ-დღე, კვირა უქმეების გარდა, დილის $9^1/_2$ საათიდან $2^1/_2$ საათამდე, ქალაქის გამგეობის მეოთხე განყოფილებაში.

(3—3)

Денисовский

მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი
„კოლდკრემი“ მ. ფ. ლებედევისა
ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული, № 22473.
იყიდება ტფილისში—საფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.
(0—6.—5)

ახლად გახსნილი
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა
◆ „შრომა“ ◆
(ფრეილინის ქუჩა, სახელმწიფო ბანკის გვერდით)
იღებს ყოველგვარ საბეჭდავსა და საკაზმავს საქმეებს, რუსულ, ქართულ, სომხურ და ფრანგულ ენებზე და ასრულებს ძლიერ სუფთად და თავის დროზე, ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასებში.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 20 апрѣля 1905 г
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“, ფრეილინის ქ., № 5.